გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 48
(11 914)

24 – 27 ივნისი, 2005 წ.

ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

პროფკავშირი – სახელმწიფოს!

„ქარიშხალას“ კომპლექსი და დიდუბის მძლეოსნობის მანეჟი სახელმწიფოს გადაეცა

ასეთი გადაწყვეტილებით დასრულდა დავა პროფკავშირული ქონების გასახელმწიფოებრიობისთვის. ჩვენ სპორტული ბაზებით ვართ დაინტერესებული, თორემ პროფკავშირების ქონებას სრულად (კურორტები, პოლიკლინიკები, დასასვენებელი სახლები, დედათა და ბავშვთა სახლები, თვით შრომის სასახლე და ა.შ) რა ჩამოთვლის.

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების საბჭოს სხდომა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება სხვა მთელ რიგ ობიექტებთან ერთად სახელმწიფოს გადასცეს თბილისში უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე სააქციო საზოგადოება „ქარიშხალას“ სპორტკომპლექსი და წერეთლის ქუჩაზე მდებარე მძლეოსნობის სასახლე (მანეჟი).

გადაწყვეტილების მეორე პუნქტში ვკითხულობთ: **ქვეყანაში სპორტის განვითარებაზე ზრუნვა ხორციელდება პრეზიდენტის პატრონაჟით და შემუშავებული კონცეფციის შესაბამისად, მიჩნეულია, რომ სპორტს და მის განვითარებას უნდა ჰყავდეს ერთი პატრონი – სახელმწიფო.**

ჩინებულია! გვინდა ვირწმუნოთ, რომ სახელმწიფოსთვის გადაცემული საქართველოს დედაქალაქის ეს ორი მნიშვნელოვანი სპორტული ობიექტი არა თუ ფუნქციას დაკარგავს, არამედ, ევროპის სტანდარტების შესაბამის დონეზე კეთილმოწყობილი ჩადგება ქართული სპორტის სამსახურში.

ახალგაზრდობის საერთაშორისო თამაშებზე

„ლელოს“ წინა ნომერში გაუწყეთ სამბისტთა წარმატებაზე ახალგაზრდობის საერთაშორისო თამაშებში. თავისუფალი სტილით ჭიდაობაში ერთადერთი ქულის მოპოვების შემდეგ მეორე პრიზიორი გახდა **ლევან ფილოიანი** (100 კგ), სამბისტებმა, როგორც ვწერდით, ოქროს – ორი, ვერცხლის – ერთი და ბრინჯაოს სამი მედალი მოიპოვეს. შემდეგ მონაგარი გაიზარდა: ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჩემპიონები გახდნენ **რევაზ ლაშხი** (55) და **შმაგი სახლთხუციშვილი** (74), ვერცხლის მედალი წილად ხვდათ **აკაკი ჯოხაძეს** (84) და **ოთარ ბოლქვაძეს** (მძიმე), მესამე პრიზიორები გახდნენ **თორნიკე ჯანელიძე** (60), **მურმან სურმანიძე** (66) და **გივი მორჩილაძე** (96).

უკვე შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჩვენი ახალგაზრდა სპორტსმენები წარმატებით გამოდიან თამაშებში. ადრინდელ შედეგს (13 მედალი) უკვე გადავაჭარბეთ და კვლავ რჩება მონაგარის გაზრდის შანსი.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით მსოფლიოს ორგზის და ევროპის ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში **თემურ აფხაზავა** დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

გუშინ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კახეთის რეგიონში, საგარეჯოს რაიონის სოფლებში – ყანდაურასა და პატარძეულში სპორტული დარბაზების გახსნას დაესწრო.

ისტორიული მოვლენა საქართველოს და ქართული სპორტის ისტორიაში!

სეოკ-ის გენერალური მდივანი **ემზარ ზენაიშვილი** ამ ორგანიზაციის დაარსების დღიდან არაერთხელ მისულა ტრიბუნასთან და ასევე არაერთხელ დაუფიქსირებია ოფიციალურად სასიხარულო ამბები, მაგრამ ის მისია, რომელიც გუშინწინ, 22 ივნისს მან შეასრულა, ისტორიულია, როგორც პირადად მისთვის, ისე მთელი ჩვენი ქვეყნისთვის.

გახსნა რა რიგგარეშე სესია, სეოკ-ის პრეზიდენტმა **ბადრი პატარკაციშვილმა** კომიტეტის წევრებს გააცნო დღის წესრიგის ერთადერთი საკითხი: „2014 წლის ზამთრის XXII ოლიმპიური თამაშების საქართველოში ჩატარების წინადადების შესახებ“. სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით გამოვიდა ინფორმაციით ე. ზენაიშვილი და ეს ნიშანდობლივიც იყო – მისი მონაწილეობით შეიქმნა სეოკ-ი და ამ ხნის მანძილზე შეინარჩუნა „შეუცვლელი“ გენერალური მდივნის სახელი. ე. ზენაიშვილმა თავის გამოსვლაში თქვა, რომ მიღებულია ბორჯომის რაიონის გამგეობის თანხმობა ბაკურიანში თამაშების მასპინძლობაზე და განმარტა აუცილებელ პროცედურასთან დაკავშირებული ორგანიზაციული მხარე – 28 ივლისამდე სოკ-ში შესატანია 150 ათასი აშშ დოლარი განმცხადებლის (აპლიკანტის) სტატუსის მოსაპოვებლად. მეორე ეტაპი წლეულს აგვისტოდან იწყება და გაისად იანვრის ბოლოს მთავრდება სოკ-ის კითხვაზე გაცემული პასუხის წარდგენით. კითხვა-პასუხი კი კომპლექსურად მოიცავს ყველაფერს, რაც დაკავშირებულია თამაშების შეუფერხებლად და მაღალ დონეზე ჩატარების მოთხოვნებთან. ზუსტად ორი წლის შემდეგ, ანუ 2006 წლის ივნისში, თამაშების მასპინძლებისთვის კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად დასახელდება რამდენიმე კონკურენტი, რომლებმაც დაუყოვნებლივ უნდა გადაიხადონ სოკ-ში კიდევ ნახევარი მილიონი აშშ დოლარი. საბოლოოდ შერჩევის პროცესს კი წერტილი დაესმება 2007 წელს სოკ-ის სესიაზე, სადაც გამარჯვებული კანდიდატი უკვე თამაშების მასპინძლად გამოცხადდება. დამარცხებულებს შეტანილი თანხა უკან აღარ დაუბრუნდებათ.

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მხარს უჭერს 2014 წლისათვის ზამთრის ოლიმპიადის საქართველოში მოწვევას.

გადაწყვეტილება მიღებულია – საქართველო 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის ბრძოლაში ჩაება.

თვალსაჩინოებისთვის ე. ზენაიშვილმა ტურინში ზამთრის 2006 წლის ოლიმპიადაზე გაამახვილა ყურადღება და ასეთი ფაქტებიც მოიტანა: თამაშების 15 დისციპლინაში 85 ქვეყნის 2500 სპორტსმენი იასპარეზებს, ოლიმპიადას მოემსახურება 20 ათასამდე მოხალისე და 700-მდე მსაჯი, თამაშებს გააშუქებს მასმედიის 10 ათასზე მეტი წარმომადგენელი, საპატიო სტუმართა რაოდენობა კი 1500-მდეა.

შემდეგ ბ. პატარკაციშვილმა სიტყვა გადასცა საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობების პრეზიდენტს **გოგი თოფაძეს.** მის გამოსვლაში რეალურად, მაგრამ ოპტიმისტურად შეფასდა თამაშების კანდიდატობის სტატუსის მოპოვებისთვის წამოწყებული მოძრაობა.

სესიას ესწრებოდა საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი,** რომელმაც თავის გამოსვლაში მხარი დაუჭირა სეოკ-ის ინიციატივას და აღნიშნა, რომ: „ოლიმპიური თამაშების ჩატარებაზე პრეტენზია სიმბოლურად პოლიტიკურ დატვირთვასაც ატარებს“. ამით ქვეყანა ამტკიცებს, რომ მშვიდობიანი განვითარების გზას ირჩევს და არ სურს ომი და კონფლიქტები არც ქვეყნის შიგნით, არც – ქვეყნის გარეთ“ (პრეზიდენტის გამოსვლის სრულ ტექსტს „ლელო“ ცალკე გამოაქვეყნებს).

სესიამ ერთხმად დაუჭირა მხარი დადგენილებას, რომლის მეოთხე პუნქტში წერია: „ოლიმპიური ქარტიის 34-ე მუხლის შესაბამისად ეთხოვოს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს განიხილოს და მიანიჭოს ბორჯომს (საქართველო) ზამთრის XXII ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის განმცხადებლის (აპლიკანტის) სტატუსი“.

თენგიზ თომაშვილი,
თორნიკე გაჩეჩილაძე.
ფოტოები რობერტ ბაგოიანისა.

ხვალ სოფელ დიღომში

თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის სოფ. დიღმის ღია პირველობა ტრადიციულ და პოპულარულ ასპარეზობად იქცა. სპორტულ არენად გადაკეთებულ სოფლის ყოფილ სავაჭრო ცენტრში გაშლილ ხალიჩაზე ხვალ 25 ივნისს, ათეულობით თანატოლი ჩაებმება ფიცხალ პაექრობაში.

ტურნირი სოფლის გამგეობის პატრონაჟობით ტარდება.

რაგბი. საქართველოს თასი

ა. ჯგუფი: ლელო – უნივერსიტეტი 58:0; აია – ლელო 19:41; ხულიგანა – ყოჩები 19:17; ყოჩები – აია 11:14; უნივერსიტეტი – ხულიგანა 22:31.

ბ ჯგუფი: არმაზი – თელავი 111:0; ლოკომოტივი – დინამო 63:0; აია – ლელო 19:41; აკადემია – დინამო 66:19; აკადემია – თელავი 161:0; არმაზი – თელაველები 111:0; ლოკომოტივი – დინამო 63:0; არმაზი – ლოკომოტივი 12:32.

ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში მონაწილე საქართველოს 18 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის განაცხადი

გუშინ, ეროვნული ნაკრების ტექნიკურ ცენტრში გამართულ პრესკონფერენციაზე (იხ. მე-4 გვ)

იტალია. 2 – 9 ივლისი

მეკარეები:
თევდორაძე რევაზი (თბილისი 3)
დაუთაშვილი ლუკა (ოლიმპიკი)

მცველები:
ხუმარაშვილი გიორგი (თბილისი)
თომაშვილი გულვერდი (დინამო 2)
ხიდეშელი გიორგი (ოლიმპი)
გვაძაბია ზურაბი (ამერი)
შარანგია ირაკლი (თბილისი)
ელბაქიძე გიორგი (ამერი)

ნახ.მცველები:
ბენაშვილი ალექსი (თბილისი)
დაუშვილი მურთაზი (დინამო თბ).
გოგოხია ნუკრი (ოლიმპი)
ბჟალავა მირზა (ამერი)
ნიკოლაიშვილი გიორგი (ამერი)
ძარია ირაკლი (კოლხეთი ფოთი)

თავდამსხმელები:
ჯანელიძე დავითი (თბილისი)
ლაფერაშვილი ლადო (ნიურნბერგი გერმანია)
წინამძღვრიშვილი რატი (ამერი)

თამაშების განრიგი:
04.07.2005 შვეიცარია – ლატვია
05.07.20.05 **საქართველო** – პირველ მატჩში დამარცხებული გუნდი
06.07.2005 **საქართველო** – პირველ მატჩში გამარჯვებული გუნდი
07.07.2005 დასვენების დღე
08.07.2005 ფინალური მატჩები.

საპრიზო ადგილებს მიღმა

მოლდოვაში დასრულდა მოჭადრაკე ქალთა ევროპის ჩემპიონატი. სამწუხაროდ, ქართველი მოჭადრაკეები საპრიზო ადგილების მიღმა დარჩნენ. 9-9 ქულით პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს უკრაინელმა **კატერინა ლაჰნომ** და რუსმა **ნადეჟდა კოზინცევამ.** დღეს მათ შორის გაიმართება ტაი-ბრეიკები და გამოვლინდება ჩემპიონი. 8,5-8,5 ქულის მესამე-მეექვსე ადგილები გაიყვეს **ელენა ზაიაცმა** (რუსეთი), **სილვია კოლასმა** (საფრანგეთი), **ელინა დანიელიანმა** (სომხეთი) და **ელენა დემბომ** (საბერძნეთი). **ნინო ხურციძემ, ქეთევან არახამია-გრანტმა** და **მაკა ფურცელაძემ** 8-8 ქულა მოაგროვეს. დანარჩენი ქართველი მოჭადრაკეების მონაგარი ასეთია: **ლელა ჯავახიშვილი, მაია ლომინეიშვილი, ანა მათნაძე** – 7,5-7,5 ქულა. **ნანა ძაგნიძე** – 7 ქულა. **თამარ წერეთელი** – 6,5, **სოფიო გვეტაძე** – 5,5.

მოჭადრაკე ქალთა ევროპის ჩემპიონატზე

შპს ზაქრო თელიას სახელობის თბილისის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი მაღალკვალიფიციური და გამოცდილი კადრებით ემსახურება. როგორც სპორტსმენებს, ისე მოსახლეობას. წარმოებს კომპეტენტური გამოკვლევები და მკურნალობა ისეთი დაავადებებისა, როგორიცაა: ოსტეოქონდროზი, ართროზი, სქოლიოზი, იშიორადიკულიტები, სხვადასხვა სპორტული თუ ყოფითი ტრავმები, სხვა თერაპიული და გინეკოლოგიური დაავადებები.
მისამართი: ჭავჭავაძის 49-ა (ვაკის საცურაო აუზთან).
ტელ: 23-59-59; 22-55-71. 10-დან 15 საათამდე.

მაგიდის ჩოგბურთი აღორძინდება

დღეს, საქართველოს სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში მაგიდის ჩოგბურთის ეროვნული ფედერაციის V ყრილობა გაიმართება. პირდაპირ უნდა ითქვას: მიუხედავად იმისა, რომ სპორტის ეს სახეობა ხელმისაწვდომია ყველა ასაკის ადამიანისთვის, ჩვენში იგი მასობრივი მაინც ვერ გახდა. რა ნაბიჯები გადაიდგმება მდგომარეობის გამოსასწორებლად?

„ლელოს" შეკითხვებს უპასუხებს ფედერაციის გენერალური მდივანი ტრისტან გელაშვილი.

◆ ***ბატონო ტრისტან, გახდება თუ არა მაგიდის ჩოგბურთი მასობრივი?***

— უნდა გახდეს.

◆ ***რის ხარჯზე?***

— ორგანიზაციულ საქმიანობას თუ სწორად წარვმართავთ და ხელმძღვანელი ინსტანციებიდან მხარდაჭერა იქნება, პრობლემა ადვილად მოგვარდება.

◆ ***როგორც ხმა გავრცელდა, ფედერაციის პრეზიდენტობაზე თბილისის პრემიერის თემურ ქურხულის თანხმობა მიღებულია, საპატიო პრეზიდენტობაზე კი პარლამენტარი გიგი წერეთელი მოიაზრება. ადასტურებთ ამ ინფორმაციას?***

— დიახ, ვადასტურებ. ბატონი თემურ ქურხული, ცხადია, ბატონი გიგიც, უალტერნატივო კანდიდატურები არიან.

◆ ***რა ნიშნით შეჩერდა არჩევანი თემურ ქურხულზე?***

— ამ პიროვნების საქმიანი თვისებები, ვფიქრობ, ყველასთვის ცნობილია. არის ინიციატივიანი, გამოირჩევა ქალაქის მოსახლეობისთვის სასიკეთო საქმეების კეთებით. ამიტომაც იგი ხშირად იმსახურებს ქვეყნის პრეზიდენტის მადლობას.

◆ ***წინასწარ ხომ არ გაგვანდობდით რაიმე მნიშვნელოვანს მისი პროგრამიდან?***

— თუმცა, ყრილობამდე ამაზე ლაპარაკი უხერხულად მიმაჩნია, მაინც გეტყვით. — ბატონ თემურს ჩაფიქრებული აქვს შექმნას მაგიდის ჩოგბურთის ცენტრი, რაც ჩვენში სპორტის ამ სახეობის ყველა თაობის აუხდენელი ოცნება იყო. მის გეგმაში შედის აგრეთვე, მაგიდის ჩოგბურთის ფართოდ დანერგვა ყველა ტიპის სასწავლებელში, საცხოვრებელ და დასასვენებლად საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში. შევიძენთ მაღალი ხარისხის ინვენტარს. დანარჩენ სიახლეებს ყრილობაზე შეიტყობთ. არ გვავიწყდება, რომ საქმე გვაქვს სპორტის ოლიმპიურ სახეობასთან.

◆ ***ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ ყველაფერი მხოლოდ სასურველ ხელმძღვანელზე არაა დამოკიდებული...***

— გეთანხმებით. თანადგომას გვპირდება პარლამენტარი **ვალერი გიორგობიანი**, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაური**, თბილისის სპორტის სამსახურის უფროსი **გიორგი უდესიანი**. ასე რომ, ყველაფერი კარგად იქნება.

◆ ***წარმატებას გისურვებთ.***

— გმადლობთ!

ესაუბრა თ. თომაშვილი.

თსუ და «მართვე»

დასრულდა ქალთა შორის კალათბურთში საქართველოს 2005 წლის ეროვნული ჩემპიონატი. ფინალურ ასპარეზობაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და „მართვეს" გუნდები. ნავარაუდევ სამრაუნდიან მატჩში წარმატება წილად ხვდა თსუ-ს გუნდს, რომელმაც საქმე ორ შეხვედრაში მოამთავრა (78:62; 76:55), მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ბათუმელებმა იმარჯვეს, მეოთხე ადგილზე გავიდა ქუთაისის გუნდი. ჩემპიონის შემადგენლობა: ანა იორაშვილი, მაია ჩარგეიშვილი, ეკა ცხადაძე, თიკო ცხადაია, ქეთი სინიცა, ნატო ჩიკვაიძე, მირანდა მგალობლიშვილი, ხათუნა საჯაია, ლია ჩეკერიშვილი, ნათია აბულაძე, რუსუდან სიდამონიძე, დარეჯან წიქორიძე, ნათია ცინცაძე, ნათია ცხადაძე, თამარ ჩხეიძე, მარიკა იმესაშვილი (მწვრთნელები: ელდარ კაპანაძე, იანა ავსაჯანიშვილი, ლამარა ბეგაშვილი).

მეორე პრიზიორი: ნინო ჯაფოშვილი, სალომე ნათელაშვილი, ლიკა ჯგერენაია, ნანა ჯაფოშვილი, მაკა კუპატაძე, მირანდა კანკია, ნინო ნინიძე, ქეთი გოგოთიძე, ეკა ცუცუნაშვილი, ანა ესიტაშვილი, ლელა ცანავა, ეკა მირიანაშვილი (მწვრთნელი შოთა იაქაშვილი).

ელდარ მალხაზიშვილი, ფოტოები ავტორისა.

სოსო ჯანაშიას ხსოვნას

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული განსაკუთრებით გაიზარდა ლტოლვა კალათბურთისადმი, რასაც სტიმული მისცა უფროსი თაობის ქართული კალათბურთის თვალსაჩინო ოსტატების წარმატებებმა. ყველაზე მეტი მოზარდი ეტანებოდა „დინამოს" სექციას, სადაც ბრწყინვალე აღმზრდელი და პიროვნება გიორგი ავალიშვილი მოღვაწეობდა.

სოსო ჯანაშია 10 წლისა იყო, როცა ამ სექციას მიაკითხა. მაშინ გიორგი ავალიშვილთან ერთად უკვე ლევან ინწკირველი მუშაობდა. ეს იყო 1966 წელს. სოსო ოსტატთა ნიჭიერი შეგირდი აღმოჩნდა. ჭაბუკთა შორის გახდა თბილისის და საქართველოს ჩემპიონი, 1971 წელს კი საქართველოს კადეტთა ნაკრებში სსრ კავშირის პირველობაც მოიგო. მაშინ სოსო ჯანაშია დაუყოვნებლივ ჩარიცხეს საბჭოთა ნაკრებში და ლევან გულდედავასთან ერთად რომში გამართულ კადეტთა ევროპის პირველობაში ოქროს მედალი დაიმსახურა. 1973 წელს უკვე თბილისის „დინამოს" ოსტატთა რიგებშია. გუნდს ხელმძღვანელობდნენ ლევან მოსეშვილი და ამირან სხირელი. თამაზ ჩიხლაძის, გივი ბიჭიაშვილის, ლევან ჩიხლაძის, მიხეილ ქორქიას, ზურაბ საკანდელიძის, ლევან გულდედავას, ვასიკო ქარსელაძის, ზურაბ ქარაბაკის, იური პულავსკის და სხვათა გვერდით სოსო ჯანაშიამ „დინამოში" მთელი 6 წელიწადი დაჰყო. ამ პერიოდში იგი გახდა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი, საქართველოს ჩემპიონი, სსრ კავშირის პრიზიორი, ევროპის ქვეყნების დინამიადის ჩემპიონი. მონაწილეობდა კუბაში, ჩეხოსლოვაკიაში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, სომალში, იტალიაში გამართულ ამხანაგურ საერთაშორისო მატჩებში. იყო პირველი ქართველი კალათბურთელი, რომელსაც 1977 წელს მიენიჭა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება.

სოსო ჯანაშიამ დაამთავრა თბილისის მე-18 საშუალო სკოლა, შემდეგ — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიური ფაკულტეტი. მუშაობდა სპეციალობით მარნეულში, მცხეთაში. შემდეგ — ქართულ-თურქულ ფირმაში, იყო წარმატებული ბიზნესმენი.

წლეულს 50 წლისა გახდებოდა. გარდაიცვალა 39 წლის ასაკში. დარჩა მეუღლე ლალი გვანცელაძე და სამი შვილი. უმცროსი, რატი ჯანაშია ჯერ ისევ მოსწავლეა. გვანცამ და თამთამ უკვე საკუთარი ოჯახები შექმნეს და თითო შვილიც ჰყავთ.

ქართული კალათბურთის „ოქროს ხანის" ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენლის, სოსო ჯანაშიას ნათელ ხსოვნას დავიწყება არ უწერია.

მეგობრები.

მამის კვალზე

213 ჭაბუკი სამბისტი მონაწილეობდა საგარეჯოში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, **როინ ყორღანაშვილის** სახელობის მეხუთე მემორიალურ ტურნირში 1989-1991 წლებში დაბადებულ ჭაბუკ სამბისტთა შორის. ტურნირის გამარჯვებულები გახდნენ: **26 კგ** — ავთანდილ მზარეულაშვილი, **29 კგ** — თამაზ კირაკოზაშვილი, **32 კგ** — გიორგი თედიაშვილი (სამივე — საგარეჯო), **35 კგ** — მურად მურადოვი (თბ), **38 კგ** — ჭაბუკა ოყინაშვილი, **41 კგ** — შალვა საგინაშვილი (ორივე — საგ), **45 კგ** — ლაშა ქალდინი (გარდ), **50 კგ** — ილია ტყეშელაშვილი (ქუთ), **55 კგ** — გივი ახვლედიანი (თბ), **60 კგ** — ლაშა ფურცელაძე (ვანი), **66 კგ** — ზურაბ დილმელაშვილი (საგ), **73 კგ** — ზაქრო მუმლაური (ძალისი), **81 კგ** — ზურაბ ტოპეშაშვილი (საგ) და **+81 კგ** ლექსო ლვინიაშვილი (თბ).

სამბოში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, საგარეჯოელი **მამუკა კურდღელაშვილის** და სხვა ცნობილი მოჭიდავეების აღმზრდელი მწვრთნელის, როინ ყორღანაშვილის სამწვრთნელო გზას საგარეჯოში ახლა მისი ვაჟი **კახა ყორღანაშვილი** აგრძელებს.

მეხუთე ტურნირის პრიზიორებს საჩუქრები გადასცეს **ლევან თედიაშვილმა, კახა ყორღანაშვილმა, გიორგი მეკოკიშვილმა, გივი ეპიტაშვილმა, გიორგი დილმელაშვილმა, თენგიზ არაბულმა** და სხვებმა.

ბარჟი გაგოძე

ლევან გოთუას დაბადებიდან 100 წლისთავისათვის

მწერლობაში მთამსვლელობიდან მოვიდ

მარცხნიდან – ლევან გოთუა
ალექსანდრა ჯაფარიძე და
ჯანსუღ ჩარკვიანი

ბატონ ლევანს გადასახლებაშიაც არ ასვენებდა თავის სამშობლოზე, თავის ხალხზე დარდი და ფიქრი. იგი სიზმარშიც კი თავისი ქვეყნის მშვენიერებას, მის მთებსა და მწვერვალებს ხედავდა: „ახლა უცბად მომინდა, რომ მოვხვდე მანდ, გულით შევიგრძნო ქართული მზე, ხალხი, ჩემი სამშობლოს ყოველი კუნჭული, მივეგებო მას, მივეხმარო, მივწვდე სულში და გულში, მივესიყვარულო..."

ლევან გოთუასათვის, გადასახლებაში ცხოვრება ენით აუწერელი სატანჯველია. მის წინაშე მრავალგზის დასმულა ყოფნა–არყოფნის საკითხი, ხშირად, იგი, იმ გარდაცვლილი მეგობრის ბედსაც კი ნატრობს, რომელიც საქართველოს მიწაში განისვენებს: „არის იმდენად მძიმე განცდები და ემოციები, რომ მათი დავიწყება არ შეიძლება და ისინი დიდხანს რჩებიან მეხსიერებაში. ვერავითარი ძალა მას ვერ ამოაგდებს. მართალია, ჟამთა სვლა ანელებს მის სიცხარეს, მაგრამ ვერ შუშავს დარჩენილ ჭრილობებს. ჩემმა ცხოვრებამ მე თითქოს ჩამრეცხა კიდეც. გამიყინა სიცოცხლე, მაგრამ უფრო მტკივნეულად. უფრო მძაფრად გამიშიშვლდა გულში ჭრილობა ჩემი თავგადასავლის სახით... ეჰ, წერილს როცა ვწერ, თავი საქართველოში მგონია. მერმე, რომ მომაგონდება შვიდიათას კილომეტრზე გაკიდებული მანძილი, შევაჩერებ წერას და გულძსხმად გადავიქცევი. გული მიგრძნობდა, ამიტომ ვიყავი ასე დახარბებული ქართულ კუთხეებს, ქართულ არე–მარეს, ხევებს, ქართულ მწვერვალებს და ქართველ ხალხს. არაერთგზის შემშურვებია ჩემი ალიოშას ბედი, რომელსაც უშბის უბეში ვალმოხდილს სძინავს. მე ვერც ვალი მოვიხადე, ხოლო ძილისა კი, სრულიადაც არა ვიცი რა, მაგრამ ჯერ ცოცხალი ვარ და შეძლებისდაგვარად ერის ვალი მაინც მინდა მოვიხადო, სხვას რომ თავი დავანებოთ. ზეპირად, ასე შიგა და შიგ და ფრაგმენტულად წერა მეტად ძნელ–ცუდია, ზიანდება და კოჭლობს ფაქტების ისტორიული მხარე, აგრეთვე, მხატვრული დონეც, მაგრამ თუ ვინმე ამ სტრიქონებს წაიკითხავს – იცოდეს, რომ თუ მოვიკოჭლე, ეს იმიტომ, რომ ხელ–ფეხზე იმდენი მავთული მეხვია – მთელ დედამიწას შემოერტყმოდა".

როდესაც ამ წერილებს კითხულობ, ტკივილისაგან გული გეკუმშება, გრძნობ, რა განცდები იმალება ამ სტრიქონების მიღმა, მაგრამ ისიც ნათელი ხდება, რომ მხოლოდ ამაღლებულ, სამშობლოს სიყვარულის უძლიერეს გრძნობას შეუძლია ამ ტკივილების ატანა და ლევან გოთუაც, არაადამიანური მოთმინებით იტანდა ამ ტკივილებს. მრავალრიცხოვანი მარწუხებით ხელფეხშებორკილ მწერალში, მაინც ვერ შეძლეს შემოქმედებით გზნების განელება, ნიჭიერების მოგიზგიზე ცეცხლის ჩახშობა. ყოველ ფაქტს, კეთილ საქმეს თუ მნიშვნელოვან მოვლენას, რაც საქართველოდან მის ყურამდე აღწევდა, ბატონი ლევანი მწერლისათვის დამახასიათებელი განცდით აღიქვამდა და საკუთარ შემოქმედებით ქურაში აწრთობდა...

გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, ლევან გოთუა, გარდა საზოგადოებრივი მოღვაწეობისა, თავისი ნაწარმოებების გამოცემის საქმესაც დიდი გულმოდგინებით შეუდგა. შესანიშნავ რომანებთან ერთად, ბატონმა ლევანმა თავის მოგზაურულ ჩანაწერებსა და ნარკვევებსაც მოუყარა თავი და „მგზავრული კრიალოსანის" სახით აკინძული, ცალკე წიგნად გამოსცა. ასევე ნაყოფიერი იყო ლევან გოთუას მოღვაწეობა მთამსვლელობაში. მან უდიდესი ამაგი დასდო საქართველოს ალპური კლუბის საქმიანობასაც, სადაც იგი სწავლული მდივნის მოვალეობას ასრულებდა. მისი ნიჭიერებით აღსავსე წიგნები, ნარკვევები, წერილები თუ სტატიები მთამსვლელობაზე, პოპულარიზაციას უწევდა ამ ვაჟკაცურ სპორტს და ანდამატივით იზიდავდა ახალგაზრდობას.

ლევან გოთუას ქართული მთამსვლელობის ისტორიისთვის, თავის თანამედროვე არაერთი მთამსვლელის ბიოგრაფია თუ დახასიათება დაუწერია, ზოგიერთი მათგანის ღვაწლი და დამსახურებაც თავისებურად შეუფასებია, რაც დღეს ფასდაუდებელ საგანძურს წარმოადგენს ძველი თაობის ქართველ მთამსვლელთა პორტრეტების აღსადგენად. საბედნიეროდ, ჩვენი ოჯახი არქივში აღმოჩნდა ლევან გოთუას ერთ ხელნაწერი, რომელიც მე-20 საუკუნი 30-იანი წლების ბოლოს ან 40-იან წლების დასაწყისში უნდა იყოს დაწ რილი. იგი წარმოადგენს პირველ ქართველი მთამსვლელი ქალის – ალექსანდრა ჯაფარიძის მოკლე დახა სიათებას, რომელიც ასე დაუსათაურებ მწერალს – "მრავალთაგან ერთადერთი" ამ ჩანაწერს, დღეს, პირველად ვთა ვაზობთ მკითხველს: "არსებობე ადამიანები, რომლებიც გვაოცებენ თავია ნთი სიმშვიდით. მე, იგი, ლაშქრობისწინა ცხარე კამათის პირობებშიც მინახავს ყოველთვის მშვიდად და გულისხმიერად გამოიყურებოდა. მაგრამ, როცა იგი წყნარი ხმით იწყებდა საუბარს, ყველა უნებურად ჩუმდებოდა და ყურადღებით უსმენდა. იგი მინახავს ალპინისტური ბანაკების მოუსვენარ ვითარებაშიც როცა მწვერვალის შტურმის წინ ზუსტად და საქმიანად იძლეოდა უკანასკნელ განკარგულებებს, თავისი მშვიდი გა მომეტყველებით ყურადღებას აქცევდა რა ყველა წვრილმანს, უნებურად მუხტავდა სიმშვიდით ახალბედა ალპინისტებს, რომლებიც პირველ მწვერვალზე მღე ლვარებით მიდიან და გამოცდილ ინს ტრუქტორებსაც, რომლებიც მოუსვენრად გამოიყურებოდნენ. იგი, უზარმაზარ ზურგჩანთამოკიდებული ვნახე აილამა რთულ ყინვარღნილზე, როგორ ეკიდა თოკით უძირო ნაპრალის თავზე და იქაც ისეთივე წყნარი და თავშეკავებული იყო, როგორც ყოველთვის.

დიახ, ალექსანდრა ჯაფარიძის სიმშვიდე და თავშეკავებულობა ნამდვილად განცვიფრებს.

მთამსვლელობას, იგი, 1923 წლიდან მისდევს, როცა ალექსანდრე დიდებულიძის მიერ მოწყობილ მყინვარწვერის ექსპედიციაში მონაწილეობდა.

იგი, როგორც მთამსვლელი, უფროსია მთამსვლელ ჯაფარიძეთა შესანიშნავ ოჯახში. ამ ოჯახიდან იყო გამოჩენილი მთამსვლელი სიმონ ჯაფარიძე, რომელიც 1929 წელს დაიღუპა თეთნულდზე, მაგრამ ამ მსხვერპლმა მხოლოდ გააძლიერა ალპინისტური მოძრაობა.

მეორე წელსვე (1930 წ.) ალექსანდრა ჯაფარიძემ, თავის ძმასთან – ალიოშასთან (ამჟამად ალპინიზმის სპორტის ცნობილი ოსტატი) ერთად განახორციელა პირველი საბჭოთა ასვლა ბედუკულმართ თეთნულდზე, რომელიც დაღუპული ძმის ხსოვნას მიეძღვნა. ეს საკვირველი ალპინისტური "შურისძიება", თავისი არსით, ღრმად ადამიანურ გრძნობას წარმოადგენს, რომელიც სცილდება ალპინიზმის ფარგლებს.

ალექსანდრა ჯაფარიძის მთელი შემდგომი ალპინისტური მოღვაწეობა დაკავშირებულია იმ ასვლებთან, რომლებიც ქართული და საბჭოთა ალპინიზმისათვის საეტაპოა. მაგ. 1934 წლის პირველი საბჭოთა ასვლა უშბაზე, კავკასიონის ქედის ტრავერსი გაუვალ მონაკვეთში, ფასის მთიდან წურუნგალამდე 1938 წელს და ბოლოს, წურუნგალა-შხარის უმაგალითო ტრავერსი. განსაკუთრებით ფასეულია ის, რომ ალექსანდრას პიროვნებაში ჰარმონიულადაა შერწყმული გამორჩეული ალპინისტური ტალანტი პედაგოგის ტალანტთან.

მან ასეულობით ახალგაზრდა მთამსვლელი აღზარდა. მისი უშუალო ხელმძღვანელობით სრულყოფდა და იმაღლებდა კვალიფიკაციას ალპინიზმის მრავალი ინსტრუქტორი.

იგი ალპინიზმში, მეგობრებისა და მოწაფეებისათვის მართლაც ცოცხალი მაგალითია.

ივანე ჯაფარიძე
ალ. ჯაფარიძის სახელობის
საქართველოს
ალპური კლუბის დირექტორი

(გაგრძელება, დასაწყ. იხ. „ლელო" №47)

გულშემატკივრის სტატისტიკა

ციფრებსა და ფაქტებს სად გავექცევით...

ძვირფასო რედაქცია!

ვარ ფეხბურთის სტაჟიანი გულშემატკივარი. უპირველესად, რა თქმა ნდა, ქართული ფეხბურთის. მყავდა ემი კერპი. ეს იყო **მანუჩარ მაჩაძე**, ჩემი დიდი სურვილია, ცხადია, უ თქვენი ნებაც იქნება, მკითხველს ავაცნო „დიდი მანუჩარის" საფეხბურთო ეპოქა. უპირატესობას სტატისტიკას ვანიჭებ და, ვფიქრობ, ამით ელაფერი იქნება ნათქვამი. რატომ ტატისტიკა? იმიტომ, რომ სწორედ ტატისტიკაა ფეხბურთელის ეფექტურობის უტყუარი მაჩვენებელი.

ასეთ სტატისტიკურ მონაცემად, საყოველთაოდ მიჩნეულია, ფეხბურთელის მიერ უმაღლეს დონეზე ჩატარებული მატჩების რაოდენობა. ეს მაჩვენებელი ჯამდება მის მიერ კარიერის მანძილზე, ქვეყნის პირველობაზე, თასზე, ოფიციალურ საერთაშორისო შეხვედრებში, საკლუბო და სხვადასხვა ნაკრები გუნდების დონეზე ჩატარებული მატჩებიდან. ამ მხრივ, მანუჩარ მაჩაიძის მიერ ჩატარებულ შეხვედრათა რაოდენობა საგრძნობლად შთამბეჭდავია.

კერძოდ, სსრკ-ის ჩემპიონატში უმაღლეს ლიგაში, სსრკ-ის თასის გათამაშებაში, ოფიციალურ საერთაშორისო მატჩებში, სსრკ-ის პირველ და ოლიმპიურ ნაკრებში ჩატარებული შეხვედრების საერთო რაოდენობა შეადგენს 506 მატჩს.

აქედან, თბილისის „დინამოში" ნათამაშები მატჩების რაოდენობა, 1979 წლის საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე ჩატარებული შეხვედრების და თბილისის „დინამოს" მიერ საბჭოთა კავშირის პირველ ნაკრებთან სამი ოფიციალური ამხანაგური შეხვედრის გათვალისწინებით, შეადგენს 441 მატჩს, ქუთაისის „ტორპედოს" შემადგენლობაში უმაღლეს ლიგაში, ტაშკენტის „პახტაკორში" და მოსკოვის „სპარტაკში" ერთად შეადგენს 41 მატჩს, მათგან 30 მატჩი ნათამაშებია საბჭოთა კავშირის პირველობაზე, 3 მატჩი საბჭოთა კავშირის თასზე. დანარჩენი, საერთაშორისო ოფიციალური შეხვედრები, რომელთაგან 2 არის მადრიდის „რეალთან" ევროპის ჩემპიონთა თასზე, ერთი ბუდაპეშტის მტკას-თან. ოთხი მატჩი მოდის საბჭოთა კავშირის პირველ ნაკრებზე, ცხრამეტი — საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ ნაკრებზე, ხოლო ერთიც ლ. იაშინის გამოსამშვიდობებელი მატჩია მსოფლიო ნაკრების წინააღმდეგ.

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ მანუჩარ მაჩაიძემ უდიდესი წვლილი შეიტანა 1981 წელს ქუთაისის „ტორპედოს" სსრკ ჩემპიონატის, უმაღლეს ლიგაში აღზევებაში. „ტორპედოს" შემადგენლობაში სსრკ-ის ჩემპიონატის პირველ ლიგაში მას ნათამაშები აქვს 30 მატჩი.

თავისი ხანგრძლივი საფეხბურთო კარიერის მანძილზე, მანუჩარ მაჩაიძემ, საქართველოში, სსრკ-ში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, მოიპოვა უდიდესი სიყვარული და პატივისცემა.

1970 წლიდან 1982 წლამდე მანუჩარ მაჩაიძეს მოპოვებული აქვს საკავშირო ჩემპიონატის ერთი ოქროს, ერთი ვერცხლის და ბრინჯაოს 4 მედალი, ორჯერ იყო საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი, 1970 და 1980 წლებში — სსრკ თასის ფინალისტი. 1979 წელს მოიპოვა სსრკ ხალხთა სპარტაკიადის ვერცხლის მედალი. 1981 წელს ქუთაისის „ტორპედოს" შემადგენლობაში მიიღო სსრკ პირველი ლიგის ჩემპიონატის ვერცხლის მედალი. საფეხბურთო კარიერა დაასრულა საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში, საქართველოს მეორე გუნდში, ქუთაისის „ტორპედოში".

დასასრულ, გვინდა მოვიყვანოთ საქართველოს ყველა დროის სხვადასხვა თაობის ფეხბურთელთა სტატისტიკური მონაცემები (პირველი ოცეული).

. მ. მაჩაიძე — 506 მატჩი (აქ არ შედის I ლიგაში ქუთაისის „ტორპედოში" ნათამაშები 30 მატჩი).
2. ა. ჩივაძე — 484
3. ს. მეტრეველი — 477
4. ვ. გუცაევი — 459
5. მ. ხურცილავა — 441
6. თ. სულაქველიძე — 436
7. ა. ლოლობერიძე — 435
8. რ. შენგელია — 430
9. ო. გაბელია — 413
10. შ. იამანიძე — 393
11. მ. მესხი — 392
12. დ. ყიფიანი — 380
13. შ. ხინჩაგაშვილი — 366
14. რ. ძოძუაშვილი — 348
15. ზ. სვანაძე — 343
16. ვ. ჭელიძე — 343
17. გ. პეტრიაშვილი — 340
18. ს. კოტრიკაძე — 315
19. ბ. სიჭინავა — 313
20. კ. ასათიანი — 301

შენიშვნა: მ. მაჩაიძეს 70 მატჩი „დინამოს" დუბლშემადგენლობაში აქვს ჩატარებული, რაც, ცხადია, იმ 484 მატჩში არ შედის.

ახლა გავეცნოთ მ. მაჩაიძის მიერ სხვადასხვა ნაკრებში ჩატარებულ მატჩებს

სსრკ-ს პირველი ნაკრები

1. ბრაზილიის ნაკრები (რიო-დე ჟანეირო) 0-2
2. არგენტინის ნაკრები (ბუენოს აირესი) 0-0
3. იუგოსლავიის ნაკრები (ბელგრადი) 1-0
4. ბრაზილიის შტატების ნაკრები (ქ. რუსიფი) 1-1
5. უნგრეთის ნაკრები (ქ. თბილისი) 2-2

სსრკ-ის ოლიმპიური ნაკრები

6. ბრაზილიის შტატის ნაკრები (ქ. ფორტალეზა) 2-2
7. ბრაზილიის შტატის ნაკრები (პელეს სახ. სტადიონი) 3-3
8. ავსტრიის ოლიმპიური ნაკრები (ქ. ვენა) 1-0
9. ავსტრიის ოლიმპიური ნაკრები (ქ. ერევანი) 1-0
10. საფრანგეთის ოლიმპიური ნაკრები (პარიზი) 3-0
11. იუგოსლავიის ოლიმპიური ნაკრები (ქ. მარიბორი) 0-0
12. შვეიცარიის ნაკრები (ქ. ბერნი) 1-0
13. ისლანდიის ნაკრები (ქ. რეიკიავიკი) 1-0
14. ესპანეთის ოლიმპიური ნაკრები (ქ. დონეცკი) 1-1
15. ბულგარეთის ოლიმპიური ნაკრები (ქ. სოჭი) 2-1
16. რუმინეთის ოლიმპიური ნაკრები (ქ. დონეცკი) 1-0
17. საფრანგეთის კლუბი „ნანსი" (ქ. ნანსი) 3-1
18. საფრანგეთის კლუბი „ნანტი" (ქ. ნანტი) 0-1
19. ჰოლანდია — როტერდამის „სპარტა" (ქ. როტერდამი) 2-1
20. გერმანიის რეგიონის ნაკრები (ქ. საარბრიუკენი) 1-1
21. ბელგია ლიეჟის „სტანდარტი" (ბრიუსელი) 2-1
22. ავსტრალიის ნაკრები (ქ. სიდნეი) 1-0
23. ავსტრალიის ნაკრები (ქ. მელბურნი) 0-0
24. მსოფლიოს ნაკრები (ქ. მოსკოვი) 2-2

ზურაბ ქვლივიძე
ქართული ფეხბურთის
გულშემატკივარი.

გრძელი გზა პელესაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაპატიეთ, მაგრამ რაშია საქმე? რამ მოიყვანა პატივცემული სენიორი ჩვენს კლუბში?

მე გავუწოდე მონიკა ვიტს კორესპოდენტის მოწმობა და ავუხსენი, რომ წარმოვადგენ ორას მილიონიან საბჭოთა რადიომსმენელს, რომ ჩამოვედი სანტოსში მოსკოვიდან გუშინ, მხოლოდ იმისათვის, რომ ავიღო მცირე ინტერვიუ ფეხბურთის მეფისაგან.

— ნუთუ პირდაპირ მოსკოვიდან? ეს როგორ? — აღფრთოვანება ვერ დამალა მონიკა ვიტმა, — მერე და როგორ გრძნობთ თავს ჩვენთან ასეთ სიცხეში? თქვენთან ხომ ახლა ყველაფერი თოვლითაა დაფარული?

მომენტალურად დავეთანხმე: ყველაფერი დაფარულია თოვლით და შეკრულია ყინულით. ამიტომაც ცხადია უფრო აუცილებელი და გადაუდებელი ხდება ჩემი ამოცანა — ინტერვიუ ფეხბურთის მეფესთან, რომელსაც ჩავუტან საბჭოთა ადამიანებს, რომ გავათბო მათი გულები და გავამხნევო მათი სულები.

ჩემმა თანამოსაუბრემ წარბები აზიდა და მიპასუხა, რომ არაფრით დახმარება არ შეუძლია. კლუბის პრეზიდენტი სენიორ ატე ჟორჟი კური — მოგზაურობაშია, ის ახლა ან ურუგვაიშია, ან ბუენოს-აირესში და როდის დაბრუნდება არავინ იცის. რაც შეეხება სინიორებს, ვიცე-პრეზიდენტებს, ისინი „პარკ ბალნეარიოში" იშვიათად მოდიან. ისინი აქ მხოლოდ კლუბის საერთო კრების დროს შემოივლიან ხოლმე. რომელსაც ჟორჟი კური იწვევს. ადმინისტრაციული დირექტორი სირო კოსტა ჯერ კიდევ არ მოსულა და მოვა თუ არა — ცნობილი არაა.

— მწვრთნელები?

— ისინი ფეხბურთელებთან ერთად წინასამატჩო საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებიან.

— სად?

ჩემი თანამოსაუბრის მკაცრად მოკუმული ტუჩებითა და შუბლზე აზიდული შეჭმუხნული წარბებით მე მივხვდი, რომ უტაქტო კითხვა დავსვი და თუ მე ამას მაპატიებენ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ უცხოელი ვარ, შორეული, ყინულით შეკრული რუსეთიდან. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ მონიკა ვიტმა ამიხსნა, რომ ნებისმიერი მასალა, რომელიც ეხება გუნდს, ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს, გაიცემა პრესისათვის მხოლოდ სოციალურ საკითხთა დეპარტამენტის მიერ.

— სად მდებარეობს ეს დეპარტამენტი?

— ახლა ის დროებით დაკეტილია.

— როდის იმუშავებს?

— შეიძლება ერთი კვირის შემდეგ, შეიძლება უფრო გვიან.

— ქვენ არ შეგიძლიათ მომცეთ პელეს ბინის მისამართი ან თუნდაც მისი ბინის ტელეფონის ნომერი?

მონიკა ვიტმა ტუჩები მოკუმა და ხელების გაშლით მითხრა:

— მე არ შემიძლია მოგცეთ პელეს ბინის მისამართი და ტელეფონის ნომერი, თუნდაც იგი რესპუბლიკის პრეზიდენტმა მთხოვოს.

... მე მივხვდი, რომ დროს ტყუილად ვკარგავდი. საჭირო იყო სხვა გადაწყვეტილების მიღება. ნომერში დაბრუნებულმა კიდევ ერთხელ გადავათვალიერე სანტოსის დოსიე, რომელიც რიოდან სპეციალურად წამოვიღე.

ჟურნალისტური დოსიე — რომელშიც თავს იყრიან გაზეთებიდან ამონაჭრები, ფოტოსურათები, საუბრების ჩანაწერები, საკუთარი სტატიებისა და კორესპოდენციების შავად ნაწერები და ასლები — ჟურნალისტის საიმედო იარაღია. ერთ-ერთი პირველი მცნება, რომელიც მე ავითვისე ჩემი საკორესპოდენტო მოღვაწეობის განმავლობაში — ესაა მაქსიმალური ყურადღება და პატივისცემა დოსიესადმი. დოსიე — ეს ერთგული თანამგზავრი, მრჩეველი, მეგობარი, ამხანაგი და ძმაა.

ინტერესით გადავფურცლე ეს საკმაოდ სქელი პორთფელი... წავიკითხე ცნობა პელეს პირველ გოლზე „სანტოსის" შემადგენლობაში, რომელიც მან გაიტანა სანტო-ანდრეს „კორიანტოსის" კარში 1956 წლის 7 სექტემბერს. საკუთარი გოლების ანგარიში პელემ გახსნა მაშინ, როცა ქვეყანა თავის ნაციონალურ დღესასწაულს — ქვეყნის დამოუკიდებლობის მორიგ წლისთავს აღნიშნავდა. სიმბოლური დამთხვევაა. აი, ფოტოსურათი, რომელზეც გამოსახულია პელეს პირველი გოლი ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში 1957 წელს. პელემ ეს გოლი არგენტინის ნაკრებს გაუტანა. მათ კარს ლეგენდარული კარისო იცავდა. აქვეა მეასე გოლი: პელემ ბურთი გაიტანა 1958 წლის 31 ივლისს „პაკაემბუს" სტადიონზე „სან-პაულოში". პელე, სხვათა შორის, მაშინ ჩვიდმეტი წლის იყო... გავაგრძელე ფურცვლა. აი, ჟოან სალდანიას ნათქვამი: „ნებისმიერ ტექნიკურ ელემენტს პელე ნებისმიერ ფეხბურთელზე უკეთ ასრულებს". აქვეა ინტერვიუ დოქტორ გოსლინგთან 1962 წლის ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატზე პელეს მძიმე ტრავმის შემდეგ: „მეფე უკვე გამოჯანმრთელდა და მალე შეძლებს თამაშს".

აი, რასაც ვეძებდი ვნახე კიდეც! ერთ-ერთი არცთუ შორეული ცნობა გვაუწყებს, რომ ნახევარი წლის წინათ პელე იძულებული გახდა გაეწყვიტა საქმიანი ურთიერთობა ბიზნესში თავის ყოფილ კომპანიონთან პეპე გორდოსთან, რომელთანაც ერთად ის ფლობდა შედარებით პატარა, სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობების დამამზადებელ ფაბრიკას — „პორტუგეზა სანტისტას".

მე გაგონილი მქონდა ამის შესახებ. არავინ არ იცის რა მოხდა. იქნებ მათი დაცილების მიზეზი პეპე გორდოს უსისტემო და უნიჭო ხელმძღვანელობა იყო, რომელმაც ვერ გამოიყენა პელეს უდიდესი ავტორიტეტი, ან იქნებ მაქინატორმა თავისი მიმნდობი კომპანიონი უმოწყალოდ გაფცქვნა. ფირმა გაკოტრდა. პელე გაუნაწყენდა პეპე გორდოს და მიატოვა „პორტუგეზა სანტისტა", თუმცა ბევრი ფულიც დაკარგა. (სხვათა შორის ეს იყო მეფის პირველი და უკანასკნელი ფინანსური წაფორხილება. შემდეგში, მან არა მარტო ამოიგო დანაკარგი, რომელიც პეპე გორდოსთან ურთიერთობისას განიცადა, არამედ ასეულ ათასობით გაადიდა საკუთარი შემოსავლები).

— „რადგან პელემ გაწყვიტა კავშირი „პორტუგეზა სანტისტასთან" — განვსაზღვრე მე — მაშინ ამ ფირმაში, არა მგონია მისი რეპორტიორებისაგან დაცვა მოხდეს. აქედან გამომდინარე არის შანსი მისი ბინის მისამართისა და ტელეფონის ნომრის გაგებისა".

ამ ფირმის მისამართის გაგებას ორიოდე წუთი დასჭირდა. მთელ სანტოსში ჯერ კიდევ ბრწყინავდნენ სარეკლამო დაფები გაკოტრებული ფირმის ტელეფონებით. მე დაუყოვნებლივ იქით გავეშურე. „პორტუგეზა სანტისტა" ხელსაწყოების, უნიტაზების, სანუზლების და ავეჯეულობების დამამზადებელი უბადრუკი სახელოსნო აღმოჩნდა. ის უკვე ახალ მფლობელებს ჰქონდათ შესყიდული. მათ ოფისში შესვლა ძნელი არ იყო. ეზო კი, გროვად ჩახერგილი, გაუსაღებელი პროდუქციით იყო სავსე. ოფისში თავშეკავებული ოპტიმიზმი იყო გამეფებული.

ხელმძღვანელობიდან, კანტორაში, მხოლოდ მთელი ცხოვრება არსებობისათვის ბრძოლით დაღლილი და მისავათებული, ცხვირზე პენსნე დამაგრებული მოხუცი მთავარი ბუღალტერი აღმოჩნდა.

მე, რაც შეიძლებოდა თავაზიანად მივესალმე მას და ვაუწყე, რომ ჩამოვედი სანტოსში შორეული, თოვლით დაფარული და ყინულით შეკრული რუსეთიდან მხოლოდ იმიტომ, რომ ავიღო ინტერვიუ უდიდესი მეფის პელესაგან, რომლის ცხოვრებითაც დაინტერესებულია ორას მილიონიანი რუსეთი და რომლის წარმომადგენელიც მე ვარ.

— მაგრამ პელე ჩვენთან აღარ მუშაობს — მითხრა მთავარმა ბუღალტერმა და პენსნე შეისწორა — ჩვენი საწარმოს ბოლოდროინდელ მოღვაწეობაში ცვლილებები...

ვიცი, ვიცი, — შევაწყვეტინე მე — მაგრამ მინდა გთხოვოთ მისი ბინის მისამართი.

მოხუცმა ამოიოხრა, სათვალე გაწმინდა. მის სულში ბრძოლა მიმდინარეობდა. პელე რომ ამ ფირმის თანამფლობელი ყოფილიყო მთავარი ბუღალტერი, რა თქმა უნდა არაფერსაც არ მეტყოდა. მაგრამ, რამდენადაც მეფე დასცილდა „საწარმოს" და შესაძლებელია — ამ თავდაჭერილი და წესიერი ფინანსისტის შეხედულებით — მისი ბავშვები ძნელ დღეში ჩააგდო, რომ მან ფირმის გაკოტრება დააჩქარა. მოხუცმა კიდევ ერთხელ ამოიოხრა, ხელი ჩაიქნია და ყურში ქუჩის სახელწოდება, სახლისა და ბინის ნომრები ჩამჩურჩულა.

მე მას მადლობა გადავუხადე და მანქანისაკენ გავქანდი. თხუთმეტი წუთის შემდეგ მე უკვე დიდ, მრავალბინიანი სახლის ერთ-ერთი მაღალი სართულის მასიურებული კარის წინ ვიდექი.

კარს არავითარი წარწერა არ ჰქონდა. ღილაკს ხელი დავაჭირე, ზარი მელოდიურად გადაეცა მთელ საცხოვრებელ აპარტამენტს. რამდენიმე წუთის შემდეგ ნაბიჯების ხმა მომესმა და კარის საკეტიც აჩხაკუნდა. კარი გაიღო, ჩემს წინ მეფის ცოლი იდგა — როზ-მერი. მაშინვე ვიცანი. აუთვლელჯერ მინახავს მისი ფოტოსურათები გაზეთებში და კინო-ქრონიკებში, ტელევიზორში. როზ-მერის ხელები ფქვილით ჰქონდა მოსვრილი. ფქვილი ეყარა წინსაფარზეც. ალბათ მისახვედრი იყო, რომ ორცხობილას ცხობით იყო დაკავებული... ამ აზრმა ელვასავით გამიარა გონებაში. მაშინვე შევამჩნიე, რომ მისი სახე დაიძაბა და კარის სახელურს ხელი მოჰკიდა. ჩემთვის ნათელი გახდა, რომ მან კარგად აღიქვა ჩემი წინ მდგომი, კისერზე ფოტო-აპარატჩამოკიდებული რეპორტიორი, მხარზე მაგნიტოფონით. მის თვალს არც ჩემი მოხიბლული და მაცდურებელი გამოხედვა გამოპარვია. მივხვდი, ახლა ის კარს დამიკეტავდა და შემომიძახებდა!..

გონზე მოსვლის საშუალება არ მივეცი. უცბად შევყავი ფეხი კარსა და ჩარჩოს შორის და შეწუხებისთვის ბოდიში მოვუხადე. კარმა დახურვა დაიწყო. მე როზ-მერის მუდარით შევხედე და ვუთხარი, რომ მე-რუსი, ჩამოვედი გუშინ საოცრად შორეული, თოვლით დაფარული და ყინულით შეკრული რუსეთიდან მხოლოდ იმიტომ, რომ ავიღო თუნდაც ხუთწუთიანი ინტერვიუ მისი მეუღლისაგან — ამ ქვეყნის ისტორიაში უდიდესი ადამიანისაგან. მე თუ მოსკოვში ამ ინტერვიუს გარეშე დავბრუნდები, ჩემი შეფი ქუჩაში გამომაგდებს და უმუშევარი დავრჩები. მე კი, სხვათაშორის, მყავს პატარა გოგონა, რომელიც ახლახან წავიდა სკოლაში. გოგონას კი, ჭამა და რჩენა უნდა.

მე შევამჩნიე, რომ როზ-მერის თვალებში გულისწყრომა გაოცებით იცვლება. მე მომინდა ჩქარა გამომეჭედა რკინა, ვიდრე იგი ცხელი იყო. ვუთხარი, რომ როგორც ნამდვილი ჯენტლმენი, არასოდეს არ დავუშვებდი, იმას რომ მოწვევის და წინასწარი სატელეფონო ზარის გარეშე მივსულიყავი სხვის სახლში, მით უმეტეს როცა ვიცი, რომ ოჯახის უფროსი შინ არ არის, რომელიც — შემიძლია დარწმუნებით ვთქვა — ახლა წინასამატჩო შეკრებაში იმყოფება. მე კი, ჩემი მოქმედება რომ გავამართლო ან შევარბილო მაინც, გულახდილად უნდა ვაღიარო, რომ ორ დღეში რიოდან მოსკოვში ჩაწერილი ინტერვიუთი უნდა დავბრუნდე, „პარკ ბალნეარიოში" კი, სადაც მე პირველად ვიყავი, არცერთი ხელმძღვანელი ადგილზე არაა და კაცმა არ იცის როდის მიელენ იქ ეს კარტოლები.

— აი, ხომ ხედავთ...

— დიახ, დიახ, პატივცემულო სენიორა, მე კიდევ ერთხელ გიხდით დიდ ბოდიშს და ძალიან ვწუხვარ; მაგრამ დამეთანხმებით, ჩემი ასეთი უტაქტო გადაწყვეტილება, თქვენ პირობებში, დარწმუნებული ვარ, გაგებით მოეკიდებით მონა-მორჩილის მიმართ მხარდაჭერის ნაწილობრივ.

თარგმნა ნუგზარ მჭედლიშვილმა.

(გაგრძელება, დასაწყ. იხ. „ლელო" №47)

მთარგმნელის სტილი დაცულია

ქართული ფეხბურთი

ლივერპულიდან-ალმაატამდე ბელარუსიდან-აზერბაიჯანამდე

დღეს, შვეიცარიის ქალაქ ნიონში ჩემპიონთა ლიგის და უეფას თასის გათამაშების 2005-2006 წლების საფეხბურთო სეზონის პირველი და მეორე საკვალიფიკაციო ეტაპების კენჭისყრა მოეწყობა. ქართული გუნდებიდან სამივე, თბილისის „დინამო“, ქუთაისის „ტორპედო“ და თბილისის „ლოკომოტივი“ ჩემპიონთა ლიგაში და უეფას თასზე ასპარეზობას პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყებენ. უეფამ ინგლისელთათვის გამონაკლისი დაუშვა და ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი გამარჯვებული „ლივერპული“ ტურნირში ისევ იასპარეზებს, მაგრამ, პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან. ჩვენი „დინამო“ პირველ ეტაპზე ბრიტანელებს არ შეხვდება. უეფამ ძლიერები განთესა და პირველად სუსტებს შეახვედრებს. ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები 12-13 და 19 და 20 ივლისს გაიმართება. „ლივერპულისა“ და „დინამოს“ გარდა განთესილებში მოხვდნენ: პეტრჟალკა (სლოვაკეთი), „ანორთოსისი“ (კვიპროსი), „გორიცა“ (სლოვენია). „ჰაკა“ (ფინეთი), „ჰაფზრინსკი“ (ბოსნია), „სკონტო“ (ლატვია), „შერიფი“ (მოლდოვა), „კაუნასი“ (ლიტვა). მათი მეტოქეები, სავარაუდოდ იქნებიან: „რაბოტნიჩკი“ (მაკედონია), „დინამო“ მინსკი (ბელარუსი), „პიუნიკი“ (სომხეთი), „სლიმა“ (მალტა), „ტირანა“ (ალბანეთი), „ლევადია“ (ესტონეთი), „გლენტორანი“ (ჩრ. ირლანდია), ტნს (უელსი), „ტუდელანჟი“ (ლუქსემბურგი), „ნეფთჩი“ (აზერბაიჯანი), „ტორსჰავნი“ (ფარერები), „კაირატი“ (ყაზახეთი). კენჭისყრა უეფას შტაბბინაში 24 ივნისს, თბილისის დროით 14 საათზე დაიწყება. პირველ ეტაპზე მოასპარეზე ზემოთ ჩამოთვლილ გუნდებს დანომრავენ და დააწყვილებენ. კახა ცხადაძის შეგირდების პირველი მეტოქის ვინაობის დადგენამდე რამდენიმე საათი რჩება. იმედია, საწყის ეტაპზე დინამოელებს გაუმართლებთ და პირველ ბარიერს გადალახავენ. მერე კი გაცილებით ძლიერი მეტოქის ჯერიც დადგება. ევროპული ფეხბურთის ჩინოსნებმა თადარიგი დაიჭირეს და მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გუნდები უკვე თითქმის დააწყვილეს.

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი 26-27 ივლისი – 2-3 აგვისტო,

პირველი წყვილის გამარჯვებული — „ჰაიდუკი“ (ხორვატია)

„სელტიკი“ (შოტლანდია) — „თუნი“ (შვეიცარია)

„ანდერლეხტი“ (ბელგია) — „მალმიო“ (შვედეთი)

„დინამო“ (კიევი, უკრაინა) — მეორეს გამარჯვებული

„ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — მესამეს გამარჯვებული

„პარტიზანი“ (სერბეთი) — მეოთხეს გამარჯვებული

„მაკაბი“ (ჰაიფა, ისრაელი) — მეხუთეს გამარჯვებული

„სტიაუა“ (რუმინეთი) — მეექვსეს გამარჯვებული

„ბრონდბიუ“ (დანია) — მეშვიდეს გამარჯვებული

„რაპიდი“ (ვენა, ავსტრია) — მერვეს გამარჯვებული

ცსკა (სოფია, ბულგარეთი) — მეცხრეს გამარჯვებული

„დებრეცენი“ (უნგრეთი) — მეათეს გამარჯვებული

„ტრაბზონსფორი“ (თურქეთი) — მეთერთმეტეს გამარჯვებული

„ვალერენგა“ (ნორვეგია) — მეთორმეტეს გამარჯვებული.

მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრა 29 ივლისს შედგება და ბობოლების ჯერიც დადგება.

ჩემპიონთა ლიგის კენჭისყრასთან ერთად, იმავე დღეს უეფას თასზე მოთამაშე გუნდებიც დაწყვილდებიან. უეფას თასზეც სამი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები ჩატარდება. უკვე დადგენილია სამივე საკვალიფიკაციო და ჯგუფური ეტაპების კალენდარიც.

უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპების კალენდარი

პირველი ეტაპი: 14-28 ივლისი; **მეორე ეტაპი:** 11-25 აგვისტო, **მესამე ეტაპი:** 15-29 სექტემბერი

ჯგუფური ეტაპი

პირველი ტური: 20 ოქტომბერი; **მეორე ტური:** 3 ნოემბერი; **მესამე ტური:** 24 ნოემბერი; **მეოთხე ტური:** 30 ნოემბერი — 1 დეკემბერი; **მეხუთე ტური:** 15-16 დეკემბერი.

უეფას თასზე პირველ ეტაპზე 50 კლუბი ითამაშებს, რომლებიც გეოგრაფიული პრინციპით რეგიონებად დაჰყვს. ჩრდილოეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ და შუა-აღმოსავლეთად. ჩვენებური „ლოკომოტივი“ და „ტორპედო“ პირველ ეტაპზე შვიდი გუნდიდან ერთ-ერთს შეხვდებიან. სავარაუდო მეტოქეთა ჩამონათვალი ასეთია: „მტზ-რიპო“, „ბატე“ (ორივე — ბელარუსი), „ვადუცი“ (ლიხტენშტეინი), „მიკა“, „ბანანცი“ (ორივე — სომხეთი), „ბაკი“, „ხაზარი“ (ორივე — აზერბაიჯანი). პირველი ეტაპის 25 გამარჯვებულს მეორე ეტაპზე 37 გუნდი შეუერთდება, 31 წყვილიდან მოგებულს მესამე ეტაპზე 49 კლუბი დაემატება, მათ შორის, ჩემპიონთა ლიგის მესამე ეტაპზე დამარცხებული 16 გუნდი და ინტერტოტოს სამი გამარჯვებული. უეფას თასის მესამე ეტაპზე 80 გუნდი 40 საუკეთესოს გამოავლენს, რომლებიც ჯგუფურ ეტაპზე ითამაშებენ.

რეგიონალური ლიგა

გაგრამ თრიალეთი დალეწა

პირველ ლიგაში გადასასვლელი საპლეიოფო მატჩები დაიწყო. პირველი შეხვედრა უხვგოლიანი გამოდგა. გაგრელებმა წალკელებს შანსი არ დაუტოვეს და მეტოქე დიდი ანგარიშით — 6-0 დაამარცხეს. გადასასვლელი ეტაპის მომდევნო მატჩი ხვალ გაიმართება. გორში, „თრიალეთის“ მეტოქე ამჯერად „მეშახტე“ იქნება. მინიტურნირი კი ოთხშაბათს გაგრელთა და ტყიბულელთა მატჩით დასრულდება. სავარაუდოდ ბოლო შეხვედრაში გაირკვევა კიდეც პირველი ლიგის საგზურის მფლობელი გუნდიც.

21 ივნისი. გორი. თ. ბურჯანაძის სახელობის სტადიონი.

200 მაყურებელი

„თრიალეთი“ (წალკა) – „გაგრა“ (გაგრა) 0-6

თრიალეთი: ბოდოკია, ლვინჯილია, ქემაშვილი, დურდიაძე, ხაჩიძე, მირზიაშვილი, გუჩაშვილი, გამცემლიძე, მაჭარაძე, მაზანაშვილი, მანჯავიძე (ცახაძე 46).

გაგრა: გეგეშიძე, კუპიზეიშვილი (ახობაძე 73), მგალობლიშვილი, აბეხრიშვილი, მაისურაძე, კობახიძე, მამუკაშვილი, კ. ავალიანი (მეზურნიშვილი 64), კირკიტაძე (მესხი 50), კუტალია (ბ. გოცირიძე 54), ტყეშელაშვილი (ლ. ჯოხაძე 77).

გოლები: 0-1, 0-2 კობახიძე (27,33), 0-3 კირკიტაძე (48), 0-4 ავალიანი (54), 0-5 მესხი (63), 0-6 ტყეშელაშვილი (77).

გააფრთხილეს: კირკიტაძე (36)

მსაჯი: მ. მალაღურაძე (თბილისი).

ჭაბუკთა ლიგა

88-89 წლიანები

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
ვიტ ჯორჯია	27	18	4	5	48-14	58
თბილისი	27	17	7	3	58-14	58
კოლხეთი1913	27	16	6	5	49-25	54
დინამო (თბ)	27	16	6	5	83-22	54
ტორპედო	27	13	2	12	45-42	41
დინამო (ბთ)	27	9	7	11	23-39	34
ლოკომოტივი	27	7	8	12	44-42	29
დილა	27	7	7	13	41-47	28
სიონი	27	3	4	20	24-91	13
ზესტაფონი	27	2	3	22	11-90	9

90-91 წლიანები

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
დინამო (თბ)	27	22	3	2	75-21	69
თბილისი	27	21	4	2	84-13	67
ლოკომოტივი	27	18	2	7	71-27	56
ვიტ ჯორჯია	27	14	3	10	43-37	45
კოლხეთი1913	27	9	8	10	33-38	35
დინამო (ბთ)	27	9	5	13	37-58	32
ტორპედო	27	8	2	17	21-53	26
ზესტაფონი	27	6	3	18	29-66	21
სიონი	27	4	5	18	25-67	17
დილა	27	3	7	17	24-62	16

მკითხველს ხელმეორედ ვთავაზობთ ჭაბუკთა ლიგის გათამაშების 88-89 და 90-91 წლიანების ჩასწორებულ საბოლოო ცხრილებს.

ლიგა თექვსმეტ გუნდამდე გაიზრდება?

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალ თავკაცს, ერთბაშად, ბევრი საფიქრალი დაუგროვდა. აქეთ, ფედერაციის ახალი სტრუქტურა და კადრები, იქით, ეროვნული პირველობის ახალი სისტემა. სხვა წვრილმანი საქმეების ჩაუთვლელად, ორივე პრიორიტეტული და სასწრაფოდ მოსაგვარებელია. საკადრო ცვლილებები, ალბათ, მალე გაცხადდება, თითქმის, ერთი თვე რჩება მეჩვიდმეტე ეროვნული ჩემპიონატის სტარტამდეც.

ნოდარ ახალკაცისთვის ქვეყნის ჩემპიონატის სისტემის ახლებურად ჩამოყალიბებას სტრატეგიული და უპირველესი მნიშვნელობა თავიდანვე, ჯერ კიდევ, საარჩევნო მარათონის მიმდინარეობისას მიეცა. ახლად დანიშნული, ახალგაზრდა პრეზიდენტიც ჩანაფიქრის განხორციელებას სფფ-ს სათავეში მოსვლის პირველივე დღიდან შეუდგა. კლუბების, რეგიონებისა და პროფლიგის ხელმძღვანელებთან კონსულტაციების შემდეგ უმაღლესი ლიგის გაფართოება ფორსირებული ტემპებით დაიწყო. ამჟამად, დანამდვილებით ერთის თქმა შეიძლება, — უმაღლესი ლიგის მეჩვიდმეტე გათამაშების დასაწყისად 30 ივლისი მოიაზრება. შემუშავებულია ჩემპიონატის ჩატარების რამდენიმე სავარაუდო ვარიანტი. იმის გათვალისწინებით, თუ რა პირობებს წაუყენებენ კლუბებს, დააკმაყოფილებენ ისინი ამ მოთხოვნებს და კრიტერიუმებს თუ არა, რა ფინანსური შესაძლებლობა ექნება თითოეულ გუნდს, ჩამოყალიბდება ახალი უმაღლესი ლიგა და ჩემპიონატის რეგლამენტი.

საფეხბურთო სამყაროს სალაპარაკო და საფიქრალი მიეცა. არიან სკეპტიკოსებიც და ოპტიმისტებიც. რა თქმა უნდა, შეიძლება ნოვაციით პირველივე ცდიდან სასურველი შედეგი ვერ მივიღოთ, ფეხბურთის სპორტული დონე ერთბაშად ვერ აიწიოს, მაგრამ ახალი საქმე ადგილიდან დაიძრება. მისასალმებელი ის არის, რომ სფფ-ს პრეზიდენტის ჩანაფიქრს მიმდევრები გამოუჩნდნენ და კლუბების უმეტესობა ენთუზიაზმით შეხვდა ახალ წამოწყებას. უმაღლესი ლიგის გუნდების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში საქართველოს ფეხბურთი გააერთიანებს. უმაღლესში წარმოდგენილი იქნება სრულიად საქართველო. ლიგაში მანამდე მოასპარეზე ათ გუნდს შეუერთდება, სავარაუდოდ პირველი ლიგის და რეგიონალური ლიგის მოწინავე რამდენიმე გუნდი. ეროვნულ ჩემპიონატს სავსებით შესაძლებელია დაუბრუნდნენ აფხაზეთის და ცხინვალის საფეხბურთო გუნდები, უმაღლესში ისევ იყოს სამეგრელოს წარმომადგენელი და ერთ დროს ქართული ფეხბურთის კოლორიტი ლანჩხუთის „გურია“. ქართულ ფეხბურთში სიახლეთა სიმრავლეა, შეიცვლება ბევრი რამ, ზოგიერთი რაღაც სწრაფად, ზოგიერთ ცვლილებას დრო დასჭირდება. ჩვენც მივყვეთ დროის დინებას, თვალი და ყური მივადევნოთ ნოვაციებს. ჩვენებური ფეხბურთის სიახლეები ბევრ საინტერესოს და სამსჯელოს გვპირდება.

ჟფ-ის მიმომხილველი.

სლოვენიელები განსჯიან

კვირას, „ვიტ ჯორჯია“ უნგრულ „პაპა ლომბარდას“ ინტერტოტოს თასის პირველი ეტაპის საპასუხო მატჩში უმასპინძლებს. შეხვედრა 26 ივნისს ეროვნულ სტადიონზე გაიმართება და დაიწყება 18 საათზე. ქართველებს სარევანშოდ გვაქვს საქმე. პირველი მატჩი, ერთი კვირის წინ, უნგრელებმა მინიმალური სხვაობით 2-1 მოიგეს. ზეგინდელ თბილისურ შეხვედრას კი სლოვენიელი მსაჯები გაუძღვებიან – რობერტ კრაინჩი, ანდრეი კოკოლი, მილან კოგეი. მეოთხე მსაჯი – ლაშა სილაგავა (საქართველო). მატჩის დელეგატია შვეიცარიელი გუიდო კორნელა.

პირველ პრესკონფერენციაზე და კონკრეტულ საკითხზე

პირველი გვერდიდან

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ნოდარ ახალკაცმა** გუშინ, ეროვნული ნაკრების ტექნიკურ ცენტრში პირველი ოფიციალური პრესკონფერენცია მოიწვია, რომელიც კონკრეტულ საკითხს, 18 წლამდე ნაკრების ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალში მონაწილეობას და მზადების პროცესს მიუძღვნა. ჟურნალისტებთან შეხვედრას დაესწრნენ ნაკრების მწვრთნელები — **კობა ჟორჟიკაშვილი, ლევან მელიქია** და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სპორტული დირექტორი **კოტე ღლონტი.**

სფფ-ს პრეზიდენტის საუბარი მთლიანად ასაკობრივი ნაკრები გუნდების დღევანდელ მდგომარეობას და მოახლოებული შესარჩევი მატჩებისთვის მათ მზადებას შეეხო. საქართველოს 18 წლამდე ნაკრები 1988-89 წელს დაბადებული ფეხბურთელებით დაკომპლექტდა. ნაკრების იტალიაში გამგზავრება სეოკ-ის ხელშეწყობით გახდა შესაძლებელი.

ნოდარ ახალკაცის განმარტებით, საფუძვლიანი კონსულტაციების შემდეგ შეიცვალა ნაკრების წინასწარი განაცხადი და წარმოჩენის საშუალება მიეცა იმ ასაკის ფეხბურთელებს, რომელთაც ჯერ არ უწევთ საერთაშორისო მატჩები. იტალიური შეხვედრები კი მათ გამოცდილებას და საკუთარი თავის რწმენას მისცემს. მისი განცხადებით, საერთოდ, ჭაბუკთა ნაკრებ გუნდებთან მუშაობა ისე უნდა აიგოს, რომ თითოეული ნაკრებიდან ეროვნულმა გუნდმა ყოველწლიურად მიიღოს სრულყოფილი შევსება. ტექნიკურ ცენტრში სრულფასოვანი მომზადების პირობები არის და, მთავარია, ახალგაზრდებში გუნდური სულისკვეთება და ღირსების გრძნობა გაღვივდეს. იგი შეეხო მოსამზადებელ ნიუანსებს და მზადების ტექნიკურ მხარეს. ჭაბუკთა ნაკრები „ტრამონდის“ ბურთებით ვარჯიშობს. ეს ბურთები სპეციალურად შეიძინა სფფ-მ და უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდებს 20-20 ბურთი დაურიგდათ. მერე და მერე, იგივე ალჭურვილობას რეგიონებიც მიიღებენ.

ნოდარ ახალკაცმა მადლობა გადაუხადა საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს თანადგომისთვის და აღნიშნა, რომ სფფ-სა და სეოკ-ის ურთიერთობა და თანამშრომლობა უფრო გაღრმავდება და მჭიდრო გახდება. სფფ-ს პრეზიდენტი ესაუბრა სეოკ-ის თავკაცს **ბადრი პატარკაციშვილს** და სულ მალე შეიძლება მისი შუამდგომლობით გახდეს შესაძლებელი ფეხბურთის პრიორიტეტულ სახეობათა ნუსხაში შეყვანა. — „ჩვენ საერთო საქმეს, სპორტს ვემსახურებით და საერთო ძალისხმევით, სპორტისა და კონკრეტულად ფეხბურთის და მთლიანობაში ქვეყნის განვითარებაში საერთო წვლილი უნდა შევიტანოთ“. — თქვა ნოდარ ახალკაცმა.

კონკრეტულად იტალიური ფესტივალის ირგვლივ ილაპარაკა კოტე ღლონტმა. მისი განცხადებით, საქართველო კარგა ხანია ასეთ სპორტულ ფესტივალებში მონაწილეობს და, საკმაოდ წარმატებით. პირველი ასპარეზობის დროიდან მოპოვებულია 31 მედალი, 9-9 ოქროსი და ვერცხლის, 13 ბრინჯაოსი. წლევანდელ ფესტივალში, 2-9 ივლისს, იტალიის სამხრეთულ ქალაქ ლინიანოში, იასპარეზებენ ქართველი ფეხბურთელები, ძიუდოისტები, ჩოგბურთელები, მძლეოსნები, სპორტული ტანვარჯიშის, ბაიდარებისა და კანოეს წარმომადგენლები. საფეხბურთო ტურნირში ითამაშებს ექვსი ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრები. ა **ჯგუფი** — იტალია (მასპინძელი), ირლანდია, ფინეთი. ბ **ჯგუფი** — შვეიცარია, ლატვია, საქართველო. ტურნირი დაიწყება 4 ივლისს, ჩვენი გუნდი პირველ მატჩს 5 ივლისს ჩაატარებს. საფეხბურთო ტურნირში კი იმსაჯებს ქართველი არბიტრი **ლაშა სილაგავა.**

ნაკრების იტალიიდან დაბრუნებისთანავე შემუშავდება 17 და 19 წლამდე ნაკრები გუნდების სექტემბერ-ოქტომბრის შესარჩევი საშემოდგომო ციკლისთვის მზადების პროგრამა.

მოახლოებული ტურნირისთვის ნაკრებს კობა ჟორჟიკაშვილი და ლევან მელიქია სპორტულ-კულტურული პროცესის შეჯერებით ამზადებენ. წვრთნას თან სდევს ექსკურსიები ეთნოგრაფიულ მუზეუმში, სხვა კულტურული ღონისძიებები, რაც გუნდს განტვირთვაში და ვარჯიშისთვის ძალების მოკრებაში ეხმარება. შემადგენლობის გადახალისების და ფორსირებული მზადების მიუხედავად, მწვრთნელები და ფეხბურთელები ოპტიმისტურად არიან განწყობილნი. მთავარია, რომ ნაკრებს მზადებისთვის კარგი პირობები აქვს. (პრესკონფერენციის შემდეგ ჭაბუკთა ნაკრებმა დინამოს დიღმის საწვრთნელ ბაზას მიაშურა და მორიგი ვარჯიში ჩაატარა).

სფფ-ს პრეზიდენტს ჟურნალისტები ფედერაციაში საკადრო ცვლილებებზე და ეროვნული ჩემპიონატის ახალ სტრუქტურაზეც დაეკითხნენ. ფედერაციის თავკაცი, ასეთ მნიშვნელოვან საკითხებზე ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღებას არ აპირებს. — „ეს საკითხები დამუშავების პროცესშია, მიმდინარეობს აქტიური კონსულტაციები, თითოეული დეტალი სერიოზულ შესწავლას ითხოვს, ჩვენც არ ვჩქარობთ. პირველ ივლისამდე სფფ-ს გენმდივანი **ვალერი ჩოლარიაა.** მერე კი სიახლეებზეც განვაცხადებთ. ჩემპიონატის რამდენიმე რეგლამენტია შემუშავებული, გვაქვს 12-14 და 16 გუნდიანი პირველობის პროექტები. გუნდებისგან ვითხოვთ მინიმალური კრიტერიუმების დაკმაყოფილებას. ჩემპიონატის დაწყებას 30 ივლისიდან ვგეგმავთ და მასში საქართველოს, თითქმის, ყველა რეგიონი იქნება წარმოდგენილი“.

პრესკონფერენციამ კეთილგანწყობის ატმოსფეროში ჩაიარა. ფედერაციის პრეზიდენტმა და კოლეგებმა გაზეთ „სპორტის“ ჟურნალისტს **ჯემალ ჭიპაშვილს** დაბადების დღე მიულოცეს. ფეხბურთის ფედერაცია მიწვეულ მასმედიელებს მცირე „ალიაფორშეტით“ გაუმასპინძლდა.

„ქართული ფეხბურთის“
რედაქტორი
მიხეილ საბახტარიშვილი

მილოცვა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, გაზეთები „ლელოს“ და „ქართული ფეხბურთის“ რედაქციები დაბადების დღეს ულოცავენ სპორტულ ჟურნალისტს, ამ გაზეთების ყოფილ თანამშრომელს, ამჟამად გაზეთ „სპორტის“ ჟურნალისტს **ჯემალ ჭიპაშვილს.**

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ხვალ ნახევარფინალია

კონფედერაციის თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპის ბოლო ტური „ა“ ჯგუფში არაფერს წყვეტდა. გერმანიისა და არგენტინის ნაკრებებმა, მოგეხსენებათ, ვადამდე მოიპოვეს ნახევარფინალში თამაშის უფლება. ბოლო, მესამე ტურში სწორედ ეს გუნდები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. არგენტინელები გამარჯვების შემთხვევაში პირველ ადგილს იკავებდნენ ჯგუფში...

გერმანია — არგენტინის მატჩი, არცთუ მაღალ ტემპში დაიწყო. მეხუთე წუთზე კურანიმ პირველი დარტყმა განახორციელა არგენტინელთა კარის მიმართულებით. ამ უკანასკნელთ კი, პირველი სერიოზული კონტრშეტევის განხორციელების საშუალება მხოლოდ მე-18 წუთზე მიეცათ, — რიკელმეს დარტყმა ოლივერ კანის შემცვლელმა „შტუტგარტის“ გოლკიპერმა ჰილდებრანდმა მოიგერია.

29-ე წუთზე კურანიმ გერმანიის ნაკრები დააწინაურა, თუმცა, ამ უპირატესობით მასპინძლებმა მხოლოდ ოთხიოდე წუთის განმავლობაში გაძლეს. 33-ზე რიკელმემ წონასწორობა აღადგინა. თუკი კურანის გოლამდე უპირატესობას გერმანელები ფლობდნენ, რიკელმეს გოლის შემდეგ თამაში გათანაბრდა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ასამოამ გამოიჩინა თავი. ერთ წუთში რიკელმეს კვლავ შეეძლო გაეთანაბრებინა ანგარიში, მაგრამ მისი დარტყმის შემდეგ ბურთი სანტიმეტრებით ასცდა ჰილდებრანდის' კარს.

76- ე წუთზე მასპინძლებმა მაინც გაუშვეს გოლი, რომლის ავტორი ესტებან კამბიასო იყო. შეხვედრის ბოლო წუთებში არგენტინელები აქტიურობდნენ, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა — 2-2.

ავსტრალიისა და ტუნისის ნაკრებთა მატჩს კი, არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. პირველ ორ მატჩში ავსტრალიელებმა, დამარცხების მიუხედავად, კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. ყველა მოელოდა, რომ ეს გუნდი შეძლებდა ტუნისის ნაკრების დამარცხებას, მაგრამ... ცნობილი სპეციალისტის როჟე ლემერის დამოძღვრილმა ტუნისელმა ფეხბურთელებმა 2-0 იმარჯვეს. ორივე გოლი სანტოსის ანგარიშზეა. ამ გამარჯვების შედეგად აფრიკის ჩემპიონმა ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა.

ოთხშაბათს „ბ“ ჯგუფშიც საბოლოოდ განაწილდა ადგილები. მესამე ტურში ცენტრალური მატჩი ბრაზილიისა და იაპონიის ნაკრებებს შორის შედგა. იაპონელები გამარჯვების შემთხვევაში უსწრებდნენ მსოფლიო ჩემპიონებს და ჯგუფში მეორე „გამსვლელ“ ადგილს იკავებდნენ, ბრაზილიელებს კი, ჯერეც ჰყოფნიდათ, რადგან მეტოქესთან შედარებით გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა ჰქონდათ.

უკვე მეათე წუთზე რობინიომ დააწინაურა სამხრეთამერიკელები. შუა ტაიმში იაპონელები გააქტიურდნენ და 29-ე წუთზე ნაკამურამ ანგარიში გაათანაბრა. 5 წუთში რონალდინიომ კვლავ აიძულა იაპონელები, ცენტრიდან დაეწყოთ თამაში. — 2-1.

მეორე ტაიმში კვლავ ბრაზილიელები აქტიურობდნენ. მათ სულ 19 დარტყმა განახორციელეს მეტოქის კარის მიმართულებით. იაპონელებმა კი — 9. და მაინც, მსოფლიო ჩემპიონებმა უპირატესობის შენარჩუნება მსაჯის საფინალო სასტვენამდე ვერ მოახერხეს — 88-ე წუთზე ოგურომ წონასწორობა აღადგინა. მას კიდევ შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ სასწაული არ მოხდა — მარკოსმა უკანასკნელ წამს შეძლო ბურთის მოგერიება. მატჩი დასრულდა ფრედ — 2-2 და ბრაზილიელები მეორე ადგილზე გავიდნენ. ევროპის ჩემპიონებმა — ბერძნებმა „კარის გაჯახუნებაც“ ვერ მოახერხეს. მათ კონფედერაციის თასის გათამაშება გოლის გატანის გარეშე დატოვეს. ბოლო შეხვედრა ოტო რეჰაგელის გუნდმა ფრედ — 0-0 ითამაშა ჯგუფის ლიდერთან — მექსიკის ნაკრებთან.

შაბათს ნიურნბერგში გაიმართება კონფედერაციის თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩი გერმანიისა და ბრაზილიის ნაკრებებს შორის, ხოლო კვირას, ჰანოვერში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან არგენტინისა და მექსიკის გუნდები.

ტექნიკური შედეგები:

„ა“ ჯგუფი

არგენტინა — გერმანია 2-2

არგენტინა: ლუქსი, სამუელი (სანტანა, 62), სორინი, ძანეტი, კამბიასო, ჰაინცე, ტევესი (დელგადო, 80), რიკელმე, კოლოჩინი, ბერნარდი (აიმარი, 53), ფიგეროა.

გერმანია: ჰილდებრანდი, ჰინკელი, ჰუტი, შვაინშტაიგერი, (ენგელ ჰარდტი, 70), დაისლერი, ასამოა (ჰანკე, 58), ერნსტი, ჰიტცლშპერგერი, მერტესაკერი, შნაიდერი (ფრინგსი,46), კურანი.

გოლები: 0-1 კურანი (24), 1-1 რიკელმე (33), 1-2 ასამოა (51), 2-2 კამბიასო (74).

გააფრთხილეს: კურანი (7), სამუელი (28), დაისლერი (40), ბერნარდი (11), შვაინშტაიგერი (48), ენგელჰარდტი (83).

მსაჯი: მიხელი.

ავსტრალია — ტუნისი 0-2

ავსტრალია: პეტკოვიჩი, მური, ნილი, ვიდმარი, სკოკო (უეჰილი, 61), ვიდუკა (ტომპსონი, 46), ჩიპერფილდი (მილიჩევიჩი, 38), კოლოსიმო, ალოიზი, მაკეინი, კულინა.

ტუნისი: კასრაური, საიდი, ტრაბელსი, ნაფტი, გუემამდია, სანტოსი (ქაზირი, 89), მნარი, ნამუჩი, ჩადლი (ჯომაა, 55), ბან საადა (გოდბანი, 69), აიარი.

გოლები: 0-1, 0-2 სანტოსი (26,70).

გააფრთხილეს: მაკეინი (25), ბენ საადა (28), კოლოსიმო (39), კეჰილი (62), ტომპსონი (90), ნაფტი (90).

მსაჯი: ჩანდია.

„ბ“ ჯგუფი

იაპონია — ბრაზილია 2-2

იაპონია: კავაგუჩი, ტანაკა, მიამოტო, ხ. ნაკატა, ოგასავარა (კ. ნაკატა, 46), ტამადა (ოგურო, 46), ნაკამურა, იანაგისავა (სუზეკი, 73), სანტოსი, ფუკუნიში, კაძი.

ბრაზილია: მარკოსი, ლესიო, რობინიო, კაკა (რენატო, 62), ადრიანო (ხულიო ბაპტისტა, 62), რონალდინიო, ზე რობერტო (ედუ, 78), სისინიო, ხუანი, ლეო, ჟილბერტო სილვა.

გოლები: 0-1 რობინიო (10), 1-1 ნაკამურა (27), 1-2 რონალდინიო (32), 2-2 ოგურო (88).

გააფრთხილეს: სანტოსი (28), ნაკატა (35), კაძი (55), სისინიო (56), ზე რობერტო (66).

მსაჯი: დაამი.

მექსიკა — საბერძნეთი 0-0

საბერძნეთი: ნიკოპოლიდისი, ვინტრა, ბასინასი, ზაგორაკისი, იანაკოპულოსი, ხარისტეასი, ფისასი, ფრიზასი, ამანატიდისი, გუმასი, კაპსისი.

მექსიკა: სანჩესი, სალსიდო, ოსორიო, პარდო, მორალესი, პინედა, მენდესი, ფონსეკა, როდრიგესი, ლოსანო, პერესი.

გააფრთხილეს: ამანატიდისი (8), პარდო (39), როდრიგესი (47), მავლარიდისი (85).

მსაჯი: ამარილია.

სატურნირო მდგომარეობა:

„ა“ ჯგუფი

გერმანია	3	2	1	0	9-5	7
არგენტინა	3	2	1	0	8-5	7
ტუნისი	3	1	0	2	3-5	3
ავსტრალია	3	0	0	3	5-10	0

„ბ“ ჯგუფი

მექსიკა	3	2	1	0	3-1	7
ბრაზილია	3	1	1	1	5-3	4
იაპონია	3	1	1	1	4-4	4
საბერძნეთი	3	0	1	2	0-4	1

იაპონიისა და ბრაზილიის ნაკრებთა მწვრთნელები: თანამემამულეები — ზიკო და პარეირა მატჩის შემდეგ.

კალენდარი გამოაქვეყნეს

გუშინ ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ გამოაქვეყნა პრემიერლიგის ახალი სეზონის მატჩების კალენდარი. პირველ ტურში ინგლისის ჩემპიონი ლონდონის „ჩელსი“ სტუმრად ეთამაშება დებიუტანტს „უიგანს“. პირველ ტურში ასევე ხვდებიან „არსენალი“ — „ნიუკასლი“, „ევერტონი“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ლივერპული“ — „მიდლსბრო“, „პორტსმუთი“ — „ტოტენჰემი“, „ფულემი“ — „ბირმინგემი“, „მანჩესტერ სიტი“ — „ვესტ ბრომვიჩი“, „ასტონ ვილა“ — „ბოლტონი“, „ვესტ ჰემი“ — „ბლექბერნი“, „სანდერლენდი“ — „ჩარლტონი“.

კახი კალაძე „მილანში“ დარჩება

საბოლოოდ გაირკვა, რომ კახი კალაძე კვლავ იტალიურ „მილანში“ ითამაშებს. ის ახალ კონტრაქტს გააფორმებს კარლო ანჩელოტის გუნდთან. ამის შესახებ განაცხადა კახი კალაძემ კიევში ავტოსალონის პრეზენტაციის დროს: „მე გალიანიმ დამირეკა და შემატყობინა, რომ რომან აბრამოვიჩთან ვერ შეთანხმდა სატრანსფერო თანხაზე.

თავდაპირველად „მილანს“ 12 მილიონი ევრო სურდა ჩემს საფასურად, შემდეგ ფასი 3 მილიონამდე დაწია... ახლა მილანში ჩავალ, დავჯდები მოსალაპარაკებლად გალიანისთან და ალბათ, ხუთწლიან კონტრაქტს გავაფორმებ „მილანთან“.

მაურო სილვა: „მე მხოლოდ ჩემპიონთა ლიგა არ მომიგია“

ცნობილია, რომ საფეხბურთო კარიერა დაასრულა ესპანური „დეპორტივოს“ ნახევარმცველმა მაურო სილვამ, რომელმაც ამ კლუბის ისტორიაში ღრმა კვალი დატოვა.

„დეპორტივოს“ შემადგენლობაში ეს ფეხბურთელი 1992 წელს გამოჩნდა. მაურო სილვამ ამ კლუბთან ერთად ესპანეთის თასი მოიპოვა, — ფინალში ლაკორუნიელებმა მადრიდის „რეალი“ დაამარცხეს. საინტერესოა, რომ „სამეფო კლუბი“ ვერასოდეს უგებდა „დეპორტივოს“, თუ ამ უკანასკნელის რიგებში, მოედანზე ასპარეზობდა მაურო სილვა. გთავაზობთ მაურო სილვას მიერ უეფას ოფიციალური საიტისათვის მიცემულ ინტერვიუს.

◆ ***როდის მიიღეთ გადაწყვეტილება კარიერის დასრულებასთან დაკავშირებით?***

— მაშინ, როცა ვიგრძენი, რომ ჩემთვის ძნელი გახდა ფიზიკური დატვირთვების ატანა. იმასაც ვგრძნობდი, რომ ჩემს ორგანიზმს უკვე აღარ შეეძლო ძველებური სისწრაფით ძალების აღდგენა. „დეპორტივოს“ ხელმძღვანელობას სურდა, რომ გუნდში კიდევ ერთი წლით დავრჩენილიყავი, მაგრამ ბოლო სეზონში ხშირმა ტრავმებმა მაიძულეს, ბუცები ლურსმანზე ჩამომეკიდა.

◆ **რისი მიღწევა გსურდათ კარიერის განმავლობაში?**

— ძალიან მინდოდა ჩემპიონთა ლიგის მოგება. ეს ხომ ერთადერთი ტურნირია ჩემს კარიერაში, რომელშიც არ გამიმარჯვია.

◆ ***ყველაზე სასიამოვნო მოგონება...***

— ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს ჩემპიონი რომ გავხდი 1994 წელს.

◆ ***თუ ყოფილა შენს ცხოვრებაში ისეთი მომენტები, რომლის მალევე დავიწყებასაც ცდილობდით?***

— 1993-1994 წლების სეზონში ხელიდან გავუშვით ესპანეთის ჩემპიონობის შანსი. ეს უსიამოვნება 6 წლის შემდეგ დავივიწყეთ, როცა პრიმერადივიზიონის გათამაშება მოვიგეთ. არადა, 1994 წელს მეგონა, რომ ასეთი შანსი აღარ მოგვეცემოდა...

◆ ***იმ ფეხბურთელებიდან, რომლებთანაც გითამაშიათ, რომელს გამოჰყოფდით?***

— დიეგო მარადონას. მის წინააღმდეგ ერთხელ მომიხდა თამაში ბუენოს-აირესში. მარადონა იყო ყველაზე სახიფათო მოთამაშე იმათგან, რომელთა წინააღმდეგაც მითამაშია.

◆ ***მომავალში რას აპირებთ?***

— ჯერჯერობით მინდა, რომ ოჯახთან სიახლოვეს ვიყო. ბრაზილია რომ დავტოვე, 15 წლისა ვიყავი... ჩემი მშობლები დღესაც იქ ცხოვრობენ. ახლა შვებულებაში ვარ და სამშობლოში ჩავალ. ჯერჯერობით, არ შემოუთავაზებიათ სამუშაო „დეპორტივოში“. თუ რაიმე ვარიანტი გაჩნდება, აუცილებლად ვიფიქრებ ამაზე.

რომან აბრამოვიჩი შევჩენკოში 50 მილიონ ფუნტს იხდის

ლონდონის “ჩელსის“ მფლობელმა რომან აბრამოვიჩმა 50 მილიონი ფუნტი შესთავაზა „მილანის“ ხელმძღვანელობას უკრაინელ ფორვარდ ანდრეი შევჩენკოში.

თვით ფეხბურთელისათვის მზად აქვთ კონტრაქტი, რომლის პირობების მიხედვით, შევჩენკო ყოველწლიურად 7 მილიონ ფუნტს მიიღებს. „მილანის“ ხელმძღვანელობის რეაქცია აბრამოვიჩის ასეთ წინადადებაზე უცნობია.

ნიგერიელებმა უკრაინელები შინ გაისტუმრეს

ჰოლანდიაში მიმდინარე 20 წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატზე მერვედფინალური მატჩები გაიმართა. ნიგერიელებმა მინიმალური ანგარიშით 1-0 დაამარცხეს უკრაინის ნაკრები. ასეთივე ანგარიშით ბრაზილიელებმა აჯობეს სირიელებს.

იტალიის ნაკრებმა 3-1 დაამარცხა აშშ-ის გუნდი.

სხვა მატჩები: ჩინეთი — გერმანია 2-3, ჰოლანდია — ჩილე 3-0, კოლუმბია — არგენტინა 1-3, ესპანეთი — თურქეთი 3-0, მაროკო — იაპონია 1-0.

მეოთხედფინალური მატჩების განრიგი:

24 ივნისი: მაროკო — იტალია, გერმანია — ბრაზილია.

25 ივნისი. ნიგერია — ჰოლანდია, არგენტინა — ესპანეთი.

ბრაზილიის თასი — «პაულიშტას»

გაიმართა ბრაზილიის თასის გათამაშების განმეორებითი ფინალური მატჩი „ფლემინენსესა“ და მეორე დივიზიონის კლუბ „პაულიშტას“ შორის. პირველი შეხვედრა „პაულიშტამ“ საკუთარ მოედანზე 2-0 მოიგო. განმეორებითი მატჩი ფრედ — 0-0 დასრულდა და მეორე დივიზიონის კლუბი ბრაზილიის თასს დაეუფლა.

ლიდერის პრეზიდენტის შვილი ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს

იტალიის სერია „ა“-ს გუნდ „უდინეზეს“ ღირსებას დაიცავს ლიდერის პრეზიდენტის მუამარ კადაფის ვაჟიშვილი საადი კადაფი. ამ უკანასკნელმა ახალ გუნდთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

შეგახსენებთ, რომ შემოდგომაზე „უდინეზე“ ჩემპიონთა ლიგაში ჩაებმება.

ფინეთის ნაკრები უმწვრთნელოდ დარჩა

ფინეთის ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლა ანტი მოურინენი მას შემდეგ, რაც ამ გუნდმა დაკარგა მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსი.

ერსუნ იანალი თურქეთის ნაკრებიდან წავიდა

თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევენტ ბიკაკიმ განაცხადა, რომ ქვეყნის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გათავისუფლებულია ერსუნ იანალი. ამის მიზეზი გახდა თურქეთის ნაკრების არადამაკმაყოფილებელი შედეგები მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე.

ნბა

ნბა-ში ლოკაუტი აღარ იქნება!

ნბა-ს კლუბების მფლობელებმა და მოთამაშეთა ასოციაციის ხელმძღვანელობამ ახალ კონტრაქტს მოაწერეს ხელი, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ლიგაში არ იქნება ლოკაუტი.

შეგახსენებთ, რომ ძველი კონტრაქტის ვადა მიმდინარე წლის 1 ივლისს იწურებოდა. ნბა-ს კომისარი დევიდ სტერნი იმუქრებოდა, რომ თუ მოთამაშეთა ასოციაცია არ იზრუნებდა ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე, ლოკაუტს გამოაცხადებდა.

ნბა-მ ჰოკეის ნაციონალური ლიგის ბედი არ გაიზიარა. მოლაპარაკებები ლიგისა და მოთამაშეთა ასოციაციას შორის არ გაჭიანურებულა და საკითხი ძველი კონტრაქტის ამოწურვამდე 10 დღით ადრე მოგვარდა. უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ხელშეკრულება ექვსწლიანია და მისი პირობები არ სახელდება.

„მილუოკს“ ახალი მწვრთნელი ეყოლება

გუშინ ნბა-ს კლუბ „მილუოკის“ ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლა ტერი პორტერი. ეს სპეციალისტი ბოლო ორი წლის განმავლობაში მუშაობდა ამ გუნდთან. ბოლო სეზონში ჩატარებული 82 შეხვედრიდან „მილუოკმა“ მხოლოდ 30 მოიგო, რამაც კლუბის ხელმძღვანელობის უკმაყოფილება გამოიწვია. უახლოეს ხანში გაირკვევა ახალი მწვრთნელის ვინაობა. გეტყვით იმასაც, რომ „მილუოკს“ აქვს პირველი არჩევის უფლება ნბა-ს დრაფტში, რომელიც მომავალ კვირაში გაიმართება.

მიხაელ შუმახერი: „ასეთ პირობებში გამარჯვება არ მახარებს“

„ფორმულა 1“-ის მიმდინარე სეზონში პირველი გამარჯვება სულაც არ გახარებია მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს, „ფერარის“ პილოტს მიხაელ შუმახერს, – მან აშშ-ის გრან პრი ხომ უჩვეულო პირობებში მოიგო, როცა მხოლოდ ექვსი ბოლიდი ასპარეზობდა. გთავაზობთ მიხაელ შუმახერის მიერ „ფორმულა 1“-ის ოფიციალური ინტერნეტ-საიტისათვის მიცემულ ინტერვიუს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩვენ დამნაშავენი არ ვართ იმაში, რაც მოხდა ინდიანაპოლისში აშშ-ის გრან პრის გათამაშების დროს. კონკურენტებს „მიშლენის“ საბურავებმა რომ უმტყუნეს, ეს ჩვენი პრობლემა არ არის.

„ფორმულა-1“ ხომ მკაცრი ბიზნესიცაა, — ამბობს მიხაელ შუმახერი.

◆

მაინც, რა მოხდა ინდიანაპოლისში?

— უჩვეულო რბოლა იყო. ნამდვილად არ გამხარებია გამარჯვება.

◆

ბევრმა სპეციალისტმა „ფერარი“ დაადანაშაულა იმაში, რომ მხარი არ დაუჭირა გაფიცულ 7 გუნდს.

— ვერ გამიგია, ეს ხომ ჩვენი შეცდომა არ იყო. ველოდი, რომ ყველა გაგვაკრიტიკებდა, მაგრამ მე ვთვლი, რომ დამნაშავენი არ ვართ. „ერთ ისტორიას გავიხსენებ: რამდენიმე წლის წინ, მონცაში ტრასის კომისარი დაიღუპა. იმ ამბიდან ერთი წლის შემდეგ პილოტებმა მოვილაპარაკეთ, რომ პირველი ორი-სამი წრე ყვითელი ალმის რეჟიმით გაგვევლო. ამას ზოგიერთი გუნდის ხელმძღვანელი, რატომღაც არ დაეთანხმა და თავიანთ პილოტებს ამგვარი ქმედება აუკრძალა. დღეს ეს ხალხი სხვა მხარეს აღმოჩნდა...“

◆

ბევრი გულშემატკივარი ინდიანაპოლისის ტრასაზე სხვადასხვა ნივთებს ისროდა და სტვენდა...

— კარგად მესმის მათი, — ფული გადაიხადეს, რათა საინტერესო რბოლა ეხილათ. სამაგიეროდ, იხილეს რბოლის პაროდია. რაც შეეხება „ფერარის“ გულშემატკივრებს, მათ რბოლას ბოლომდე უცქირეს და შემდეგ ჩვენთან ერთად ზეიმობდნენ.

◆

აშშ-ის გრან პრის მოგებით, საერთო ჩათვლაში მესამე ადგილზე გადაინაცვლეთ.

— ეს ჯერ არაფერს ნიშნავს, რადგან ინდიანაპოლისში რბოლა იოლად მოვიგე. წინ მთავარი რბოლებია. უნდა გავაგრძელო მუშაობა საკუთარ თავზე და ნაბიჯ-ნაბიჯ ვიარო ჩემპიონის ტიტულისაკენ.

უიმბლდონის ტურნირზე

მიმდინარეობს ყველაზე პრესტიჟული — უიმბლდონის საჩოგბურთო ტურნირი. ვაჟთა შორის მეხუთე ნომრად განთესილმა მარატ საფინმა 7:6, 7:6, 6:4 დაამარცხა მარკ ფილიპუსისი და მესამე წრეში გავიდა.

მსოფლიოს პირველ ჩოგანს, შვეიცარიელ როჯე ფედერერს არ გასჭირვებია ჩეხი ივო მინარის დამარცხება — 6:4, 6:4, 6:1.

ხუან კარლოს ფერერომ (ესპანეთი) 6:4, 3:6, 4:6, 6:3, 6:3 დაამარცხა კორეელი ჰიუი-ტაიკ ლი.

ქალთა შორის მესამე ნომრად განთესილმა ამელი მორესმომ 6:1, 6:3 მოუგო ესპანელ მარია სანჩეს-ლორენსოს. მესამე წრეში გავიდა ანასტასია მისკინაც, რომელმაც სძლია იაპონელ აიკო ნაკამურას — 6:4, 6:3.

სხვა შეხვედრები: ქალები: მ. შარაპოვა — ს. კარატანჩევა 6:0, 6:1; ვ. უილიამსი — ნ. პრატი 7:5, 6:3; ს. მარტინესი — კ. ბრენდი 6:2, 6:3; ა. ბონდარენკო — ტ. პანოვა 6:3, 2:6, 6:3; ნ. დეში — ჯ. ოდონოგუე 6:2, 6:1; კ. სრებოტნიკი — ი. ჩო 7:5, 6:4; ს. პორი — დ. ჰანტუჩოვა 2:6, 6:2, 3:6; ნ. პეტროვა — ს. ბელტრიმი 6:1, 6:2; **ვაჟები:** ი. ანდრეევი — დ. სანგინეტი 6:4, 6:2, 3:6, 6:3; რ. გასკე — გ. ელსინერი 7:6, 7:6, 6:7, 6:2; ფ. სანტორო — ჯ. ნოვაკი 1:6, 6:4, 6:7, 3:6; მ. მირნი — ო. როხუსი 7:6, 6:2, 7:6; ტ. ჰენმანი — დ. ტურსუნოვი 6:3, 2:6, 6:3, 3:6, 6:8.

კინაღამ პრესკონფერენციაზე იჩხუბეს

JUNE 25 20
GATTI-MAYWEATHER
"THUNDER & LIGHTNING"
GATTI-MAYWEATHER
SATURDAY, JUNE 25, 2005

25 ივნისს კიდევ ერთი ბრძოლა შედგება ატლანტიკ-სიტიში. რინგზე ერთმანეთის პირისპირ წარსდგებიან ფლოიდ მეიზევერი-უმცროსი და ვბც-ის ვერსიით ნახევრადსაშუალო წონაში მსოფლიო ჩემპიონი არტურო გატი.

ფლოიდ მეიზევერი მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონია ორ წონით კატეგორიაში და უფრო საინტერესო ისაა, რომ ერთი მარცხიც არ უგემნია. ის დარწმუნებულია, რომ არტურო გატისაც დაამარცხებს. „მე წავართმევ მას ჩემპიონის სარტყელს და შემდეგ ბრძოლაში ცზიუსა და ჰატონსაც გამოვიწვევ. მე არ მინდა ვიყო რეი ლეონარდის „მომდევნო,“ არ მინდა ვიყო მუჰამედ ალის „მომდევნოც“. მე მინდა ვიყო პირველი ფლოიდ მეიზევერი“ — ამბობს იგი.

შეხვედრის ორგანიზატორებს ოთხშაბათს ცალ-ცალკე ჰქონდათ დაგეგმილი ორივე მოკრივის პრესკონფერენცია. მოხდა ისე, რომ გატიმ ერთი საათი დააგვიანა დათქმულ დროს, მეიზევერი კი ნხევარი საათით ადრე მოვიდა და ისინი ერთად აღმოჩნდნენ საპრესკონფერენციო დარბაზში. ერთ მომენტში მეიზევერმა ხალათი გაიძრო და ხტუნვა-ყვირილი დაიწყო. უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა კონფლიქტის აღკვეთა მოახერხეს...

ვივიან ჰარისი: „მე მეტოქეები გამირბიან“

ვბა-ს ვერსიით პირველ საშუალო წონაში მსოფლიოს ჩემპიონმა ვივიან ჰარისმა და მისმა მწვრთნელმა ემანუელ სტიუარდმა პრესკონფერენცია გამართეს კარლოს მაუსთან ბრძოლის წინ (ეს ორთაბრძოლა 25 ივნისს ატლანტიკ-სიტიში გაიმართება). სტიუარდმა აღნიშნა, რომ მაუსი მისი შეგირდისათვის ღირსეული მეტოქე არ არის.

„ჰარისი ბრწყინვალე სტილში დაამარცხებს მეტოქეს და მაყურებლებიც ისიამოვნებენ. ყველანი დარწმუნდებიან, რომ ჰარისი საშუალო წონაში ყველაზე ძლიერი მოკრივეა“.

თვით ვივიან ჰარისმა კი ასეთი რამ თქვა: „მე გამირბიან ძლიერი მოკრივეები, მაგრამ ამაზე საუბარს აზრი არა აქვს. ახლა მხოლოდ კარლოს მაუსთან ბრძოლაზე ვფიქრობ.

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



24 ივნისი, პარასკევი

საქართველოს ტელევიზია, 1-ლი არხი. „ჩოგბურთის აკადემია“ (18.30). **იმედი.** კალათბურთი, ნბა-ს ფინალური მატჩი (13.15); *НТВ плюс спорт.* ჩოგბურთი, უიმბლდონის ტურნირი (11.30, 18.30, 00.00). ნბა-ს საკალათბურთო მიმოხილვა (14.45). ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი (16.55), კეიკუშიკაი კარატე, რუსეთის ჩემპიონატი (00.45); *НТВ плюс футбол.* თავისუფალი დარტყმა (12.00, 15.45, 19.00). ლიბერტადორესის თასი, ნახევარფინალის I-ლი მატჩი (12.15, 00.25), მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის, მერვედფინალი (14.00, 19.25, 22.25), ბრაზილიის ჩემპიონატის მიმოხილვა (18.00). „ფუტბოლ მუნდიალი“ (18.30); EUROSPORT. რალი, მსოფლიო ჩემპიონატი (10.30, 00.30), ცხენოსნობა, სუპერლიგა (11.00), ფრენბურთი, მსოფლიოს გრან პრი (12.00, 13.00, 18.00). მოტოსპორტი, გრან პრი (14.45, 16.00). საპლაჟო ფრენბურთი, მსოფლიო ჩემპიონატი (19.00, 21.00). ყველაზე ღონიერი ადამიანები, სუპერსერია (22.30, 23.30), ფეხბურთი, ფიფა, კონფედერაციის თასი, გერმანია (01.00), 03.00), ევროსპორტის ახალი ამბები (02.00).

25 ივნისი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. იმედი. კალათბურთი. ნბა-ს მიმოხილვა (16.30); **აჭარა.** „ფეხბურთი და ჩვენ“ (14.30); **რუსეთის I-ლი არხი.** ფეხბურთი, რუსეთის ჩემპიონატი: „მოსკოვი“ — „ტორპედო“ (14.00); *НТВ* მსოფლიო კრივი, „ნოკაუტების ღამე“ (23.00); *НТВ плюс спорт.* ჩოგბურთი, უიმბლდონის ტურნირი (10.25, 18.35, 00.00). ძალოსნობა, „ზნამენსკების მემორიალი“ (13.55). ცურვა, რუსეთის ჩემპიონატი (17.00). ბრძოლა წესების გარეშე (00.45). პროფესიული კრივი. არტურო გატი—ფლოიდ მეივეზერი, პირდაპირი (05.00); *НТВ плюс футбол.* თავისუფალი დარტყმა (12.00, 16.15, 19.25), მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის (12.15, 14.30, 17.25, 22.25). ბრაზილიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (14.00). ლიბერტადორესის თასი, ნახევარფინალის 1-ლი მატჩი (20.15). „ფუტბოლ მუნდიალი“ (22.00); EUROSPORT. რალი, მსოფლიო ჩემპიონატი (11.00, 00.30). საპლაჟო ფრენბურთი, მსოფლიო ჩემპიონატი (11.30, 20.00). ფრენბურთი, მსოფლიო გრან-პრი (12.30, 19.00). მოტოსპორტი. გრან პრი (13.45). ფეხბურთი, ფიფა, კონფედერაციის თასი, გერმანია (23.00), ევროსპორტის ახალი ამბები (01.30, 03.45), საბრძოლო ხელოვნებათა კლუბი, დიდი ბრიტანეთი (01.45).

26 ივნისი , კვირა

НТВ плюс спорт. პროფესიული კრივი: არტურო გატი — ფლოიდ მეივეზერი (10.25, 19.00), „სპორტული გლობუსი“ (12.30). ჩოგბურთი, უიმბლდონის ტურნირი (13.15), ცურვა, რუსეთის ჩემპიონატი (16.55). სამბო, რუსეთის ჩემპიონატი (18.15). პროფესიული კრივი, ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის: არტურო გატი — ფლოიდ მეივეზერი (19.00). „საჭადრაკო მიმოხილვა (21. 30). სპორტული ცეკვები, ევროპის ჩემპიონატი ლათინურ-ამერიკულ ცეკვებში (22.00). ტაილანდური კრივი (00.15); *НТВ плюс футбол* თავისუფალი დარტყმა (12.00, 16.20, 20.05). მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის, მეოთხედფინალი (12.20, 14.35). „ჩემპიონთა ლიგის არქივი“. 2001-02-ის სეზონი. რუსეთის „სპარტაკი“ — ჰოლანდიის „ფეიენოორდი“ (16.35). განვლილი სეზონი, იტალიის ჩემპიონატი: „იუვენტუსი“ — „მილანი“ (18.20), „ჩემპიონთა ლიგის არქივი“ 2001-02 წ. ესპანეთის „რეალი“ — რუსეთის „ლოკომოტივი“. „ფუტბოლ მუნდიალი“ (22.25), ბრაზილიის ჩემპიონატი: „სან კაეტანო“ — „სანტოსი“. პირდაპირი (22.55). EUROSPORT. ფრენბურთი, მსოფლიო ლიგა (10.30). ფეხბურთი, ფიფა, კონფედერაციის თასი, გერმანია (13.00). მოტორბოლა, მსოფლიო ჩემპიონატი (14.00, 17.30), საპლაჟო ფრენბურთი, მსოფლიო ჩემპიონატი (12.15). მოტოსპორტი, უიკენდი (21.15).

კროსვორდი

თარაზულად: 5. კრივის ცნობილი ცენტრი შიდა ქართლში, 9. აფხაზეთში აღზრდილი ქუთაისის ტორპედოში მოთამაშე ვეტერანი ფეხბურთელი, 10. სკანდალებით ცნობილი ფრანგი ვეტერანი ფეხბურთელი, 12. სახელგანთქმული იტალიელი ვეტერანი ფეხბურთელი, 13. მატჩის ერთი ნახევარი, 15. ქართული ფეხბურთის მსაჯთა კორპუსის თავკაცი, 16. „ალბასეტეს“ ფეხბურთელი, 19. საქართველოს ჩემპიონი საკალათ. გუნდი (შემოკლებით), 20. ვეტერანი სოხუმელი ძალოსანი, 22. საჭადრაკო ფიგურა, 23. წმინდა გამარჯვება ძიუდოში, 24. გალის რაიონის ყოფილი საფეხბ. გუნდი.

შვეულად: 1. ოლიმპიური პრიზიორი ქართველი მორბენალი ქალი, 2. მძლეოსნობის სახეობა, 3. ჩოგბურთელ კურნიკოვას სახელი, 4. თურქეთის საფეხბ. გუნდი, 6. ქუთაისის სარაგბო კლუბი, 7. რუსთავის საკალათბურთო გუნდის ადრინდელი სახელი, 8. მშვილდით სატყორცნი, 10. იგივეა, რაც კუთხურის ჩამოწოდება ფეხბურთში, 11. საბჭოთა საფეხბ. ნაკრების ერთ-ერთი კაპიტანი, 14. აშშ-ის ვეტერანი ჩოგბურთელი, 17. ქალაქი, სადაც ჩატარდა ზამთრის ოლიმპიადა 1952 წელს, 18. გერმანიის საფეხბ. კლუბი, 20. პროფესიონალი მოკრივე, 21. საფრანგეთის სარაგბო კლუბი.



მოამზადა ნოდარ ჯაჯვაძემ.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. კურიე, 4. შენგელია, 8. ანჩელოტი, 11. „ოდრა“, 13. რურუა, 14. ანთაძე, 17. ფინტი, 18. აკაში, 20. ფორტუნა, 21. ონი, 22. უძო, 23. იაძე, 24. ჩოი.

შვეულად: 1. კანტონა, 2. როა, 3. „ელჩე“, 4. „შალკე“, 5. ნეტო, 6. ლუა, 7. ასო, 9. კუცი, 10. კურტანიძე, 12. „ადანა“, 15. ნაკანი, 16. თოფაძე, 17. ფარი, 19. შიდო.

შარაპოვა იაპონურ საფოსტო მარკაზ

სულ მალე იაპონიაში გამოჩნდება საფოსტო მარკა, რომელზედაც გამოსახული იქნება პოპულარული რუსი ჩოგბურთელი მარია შარაპოვა. 10 საფოსტო მარკისაგან შემდგარი ერთი კომპლექტი 29 დოლარი ეღირება.

შარაპოვას ასეთი პოპულარობა იაპონიაში განაპირობა იმან, რომ ჩოგბურთელმა ამ ქვეყანაში სამი საჩოგბურთო ტურნირი მოიგო.

ia sharapova

საჭადრაკო ამოცანა

ვ. პიპა

(1985 წ.)



შამათი 3 სვლაში

№47-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1.მფe5!

1. ..... კg5+ 2. ლ:g5 --- 3. ლe7X

1. ..... კh4 2. ლb8 კd8 3. ლd8X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: lelosport@hotmail.com